პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 295 (10071)

სამშაბათი, 14 დეკემბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
ზრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის (1-ლი გვერდი).
ო. კარიშევი. — სახელმწიფო ერმიტაჟი (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-2 გვერდი).
სადღეისო თემაზე. — აგროზოოტექნიკური კურსები (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — ა. კევლიშვილი. — რაიკომი და პირველადი ორგანიზაცია (მე-2 გვერდი).
ქალაქების მოსკოვისა და სტალინგრადის მცხოვრებლები უპასუხებენ ქალაქ ხიროსიმას მცხოვრებთ (მე-2 გვერდი).
კონსულტაცია. — გ. კვაჭაძე. — ზოსტნეულის და კარტოფილის შენახვა ზამთარში (მე-3 გვერდი).
პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის [illegible] ჰოს მოწოდება ევროპის მშრომელებისადმი (მე-3 გვერდი).
პროფკავშირთა მსოფლიო ფედერ[illegible] ჰოს სესიაზე (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## სასოფლო კლუბი

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენენ კოლმეურნეგლეხობის მზარდი კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა, რომელმაც სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების პროგრამა დასახა, მოითხოვა სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესება. „საჭიროა, — ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, — ავამაღლოთ სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის დონე, გამოვაცოცხლოთ კლუბებისა და ბიბლიოთეკების საქმიანობა, რეგულარულად ვუჩვენოთ კინოფილმები, გავაძლიეროთ სოფლების რადიოფიკაცია და გავაუმჯობესოთ რადიომაუწყებლობის ხარისხი“.

სოფლის კულტურულ ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი უკავიათ სასოფლო კლუბებს. ისინი მოწოდებული არიან დაეხმარონ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მშრომელთა კომუნისტური შეგნებულობისა და კულტურის ამაღლებისათვის, სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის წარმატებებისათვის ბრძოლის საქმეში.

კოლმეურნე გლეხობის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ყურადღება ამჟამად მიპყრობილია ქმეთკენ, რომ წარმატებით შესრულდეს პარტიის მიერ დასახული ამოცანა — შეიქმნას ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე. ამავე მიზანს უნდა ემსახურებოდეს სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა. მათ მასობრივი მუშაობის ყველა ფორმა უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში.

ჩვენს რესპუბლიკაში 1.037 სასოფლო კლუბია. ცოტა როდია სასოფლო კლუბების ნაყოფიერი საქმიანობის მაგალითი. მოწინავე სასოფლო კლუბები აქტიურად იბრძვიან მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებისათვის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ნოვატორთა გამოცდილების, საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მიღწევების ფართოდ გავრცელებისათვის. სასარგებლო ინიციატივას იჩენს მახარაძის რაიონის მელექედურის სასოფლო კლუბი. აქ იმართება თემატური საღამოები, მიძღვნილი საარტელო მეურნეობის ცალკეული დარგების გაკვეთარების პერსპექტივებისადმი, უხვი მოსავლის მოყვანის პროგრესული მეთოდებისადმი, შეხვედრები საკოლმეურნეო წარმოების ოსტატებთან. მოწყობილია სოფლის მეურნეობის საკითხებზე ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებებისადმი მიძღვნილი გამოფენები. სისტემატურად ეწყობა რადიოლექციების კოლექტიური მოსმენა. კარგად მუშაობს კლუბთან შექმნილი ლექტორთა სასოფლო გაერთიანება, რომლის ძალებით სისტემატურად იკითხება ლექციები სხვადასხვა აქტუალურ თემაზე. კლუბთან არსებობს საცნობო-საკონსულტაციო კუთხე. მაღალ დონეზე დგას წრეობრივი მუშაობა, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების საქმიანობა.

მოწონების ღირსია თელავის რაიონის აკურის სასოფლო კლუბის მუშაობა. ეს კლუბი დიდად უწყობს ხელს აგროზოოტექნიკურ კურსებზე სწავლის გაუმჯობესებას. მეცადინეობისათვის მზადდება გამოფენები, პლაკატები, ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები. ეწყობა ახალი სასოფლო-სამეურნეო წიგნების კითხვა და განხილვა.

ლექციებმა, საუბრებმა, გამოფენებმა, უხვი მოსავლის ოსტატებთან შეხვედრებმა, მეცნიერულ-პოპულარული კინოფილმების ჩვენებამ და სხვა ღონისძიებებმა, რომლებიც ეხმარებიან სოფლის მშრომელებს მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევების უკეთ შესწავლაში, საზოგადოებრივი მეურნეობის შინაგანი რეზერვების სრულად გამოყენებაში, მტკიცე ადგილი უნდა დაიკავოს ყველა სასოფლო კლუბის მუშაობაში.

სასოფლო კლუბების, სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესება მოსახლეობაში ღრმა, სისტემატური მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის გაძლიერების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ამოცანა ის არის, რომ კლუბები გადავაქციოთ კულტურის ნამდვილ კერებად, სოფლად სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის დასაყრდენ პუნქტებად, ამისათვის ყველა პირობა არსებობს. საკოლმეურნეო სოფელს ჰყავს დიდი კულტურული ძალები, რომლებიც აქტიურად უნდა ჩავაბათ მოსახლეობის კულტურულ მომსახურებაში, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელებაში.

სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელოვანი უბანია. აუცილებელია, რომ ეს უბანი სარგებლობდეს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოების მუდმივი ყურადღებით. პარტიის რაიკომები და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომები ღრმად უნდა ჩასწვდნენ სოფლის კლუბების მუშაობის შინაარსს, გადაჭრით აამაღლონ მისი იდეური დონე, იზრუნონ იმისათვის, რომ ყველა კლუბს კარგი მატერიალური ბაზა ჰქონდეს.

ფაქტები მოწმობენ, რომ პარტიის რაიკომები და რაისაბჭოების აღმასკომები მთელ რიგ შემთხვევებში ურიგდებიან კოლმეურნეობებსა და მტს-ებში საკლუბო მუშაობის ჩაშლას. კასპის, ყვარლის, შუახევის, ქარელისა და სხვა რაიონებში ათობით სასოფლო კლუბი უმოქმედობას იჩენს. სოფლის მოსახლეობის კულტურულ მომსახურებას გულგრილად ეკიდებიან ჩხოროწყუს რაიონის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ხელმძღვანელი ორგანოები. მაგალითად, ჭოღის სასოფლო კლუბი, ნაცვლად იმისა, რომ მოსახლეობაში კულტურულ-მასობრივ მუშაობას ეწეოდეს, გამოყენებული იყო ჩაის მომღებ პუნქტად. შენობის კედლები დაირღვა, სახურავი და იატაკი საგრძნობლად დაზიანდა, ხოლო მისი შეკეთებისათვის თავს არავინ იწუხებს.

საკლუბო მუშაობა სუსტად არის დაყენებული ლაგოდეხის რაიონში. კაბალში, არეშფერანში და სხვა სოფლებში თუმცა კლუბის ახალი შენობები აააგეს, მაგრამ არ ზრუნავენ მათი კეთილმოწყობისათვის. კლუბებს არა აქვთ სკამები, შესაკეთებელია კედლები და სცენა. ასეთივე მდგომარეობაა ულიანოვკისა და ყარსუნის სასოფლო კლუბებში. რაიონის ბევრი კლუბი და ბიბლიოთეკა ზამთრისათვის მომარაგებული არ არის შეშით, ხოლო კულტურის განყოფილების გამგე ამხ. შ. ჯიჭარაძე ურიგდება ამ ნაკლოვანებებს.

სასოფლო კლუბების მუშაობის გაუმჯობესებაში სერიოზული როლი ეკისრებათ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს, კულტურის სოლქო და რაიონულ განყოფილებებს. სამწუხაროდ, კულტურის ყველა განყოფილება როდი ართმევს თავს დაკისრებულ ამოცანას. სასოფლო კლუბს არადამაკმაყოფილებელ ყურადღებას აქცევს ონის და ზოგიერთი სხვა რაიონის კულტურის განყოფილება. სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი ცოცხალი ხელმძღვანელობა ზოგჯერ შეცვლილია ადგილებზე ქაღალდების გზავნით.

სასოფლო კლუბები სამართლიანად მოელიან დახმარებას ქალაქის კულტურული დაწესებულებების მხრივ. საქმე ეხება საქარხნო კლუბების, ქალაქის თეატრებისა და ბიბლიოთეკების — ჩვენი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ყველა კულტურული ძალების საშეფო მუშაობის გაძლიერებას. კარგი საქმე წამოიწყო ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა, რომელიც საშეფო სპექტაკლებს მართავს მაიაკოვსკისა და წყალტუბოს რაიონის საკოლმეურნეო კლუბების სცენებზე. სოფლის კლუბებში უფრო ხშირად უნდა გამოდიოდნენ პროფესიული თეატრების მსახიობები.

იზრდება სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელთა სულიერი მოთხოვნები, და ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ამ მოთხოვნების ყოველმხრივ დაკმაყოფილებისათვის, გადაჭრით გაუმჯობესონ სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ა. ვ. საველიევას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ამხ. ა. ვ. საველიევას საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით და რევოლუციურ მოძრაობაში მისი მონაწილეობის აღსანიშნავად ამხ. ალექსანდრა ვასილის ასული **საველიევა** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 10 დეკემბერი.

## ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★

### მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის არმიის ანსამბლი

ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, პოლონეთში და საბჭოთა კავშირის ქალაქებში — მინსკში, კიევში, ხარკოვში, ლენინგრადში გამოსვლის შემდეგ 11 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი დედაქალაქში რამდენიმე კონცერტს გამართავს. (საკ. სეს).

### ა. მაჰავარიანის ორატორიის მაღალი შეფასება

მოსკოვი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სამდივნო მომავალი პლენუმისათვის, რომელიც სიმფონიურ მუსიკას მიეძღვნება, აწყობს კონცერტების ციკლს — „სიმფონიური მუსიკის ახალი ნაწარმოებნი“. თავის სხდომებზე სამდივნო განიხილავს ახალ სიმფონიურ ნაწარმოებებს და საუკეთესონი კონცერტების ამ ციკლში შეაქვს.

ამას წინათ კავშირის სამდივნომ მოისმინა კომპოზიტორ ა. მაჰავარიანის ორატორია „ჩემი სამშობლოს დღე“ (ტექსტი ი. არაყიშვილისა და ლ. ოზეროვისა) სოლისტების, ჭაბუკთა გუნდის, შერეული გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის. ორატორია შედგება რვა ეპიზოდისაგან: „ჩემი სამშობლოს დილა“, „პიონერები — მსოფლიოს სიმპატიკ“, „საკოლმეურნეო მინდვრებზე“, „სახუმარო სიმღერა“, „მოგონება“, „მშვიდობიანად შრომობს ხალხი“, „ფინალი“ და „მრავალჟამიერი“.

სამდივნოს მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა გ. ხუბოვმა, ი. შაპორინმა, დ. კაბალევსკიმ, დ. შოსტაკოვიჩმა, ი. მოლჩანოვმა, მ. გრიგორიევმა, ბ. ტერენტიევმა, დანილევიჩმა, ნ. დობრონინამ და სხვ.

ორატორიის გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 11 კაცმა. ა. მაჰავარიანის ახალმა ნაწარმოებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

კომპოზიტორთა კავშირის გენერალური მდივნის მოვალეობის აღმასრულებელმა გ. ხუბოვმა აღნიშნა, რომ ა. მაჰავარიანმა გაბედულად გადაჭრა საბჭოთა კომპოზიტორების წინაშე მდგომი წმინდა ეპიკური ნაწარმოების შექმნის ამოცანა. თავისი მთლიანობით, დარბაისლობითა და ჰარმონიულობით ეს ნაწარმოები საუკეთესო შთაბეჭდილებას ტოვებს. ნაწარმოები უაღრესად ეროვნული, ამავე დროს საკავშირო თანამედროვეა.

სამდივნომ გადაწყვიტა შეიტანოს ა. მაჰავარიანის ორატორია იმ ნაწარმოებთა პროგრამაში, რომლებიც შესრულებულ იქნება სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის მომავალ პლენუმზე.

### ოპერა „ქეთო და კოტე“ მეასე სპექტაკლი ერევნის თეატრში

8 დეკემბერს ერევნის სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ვ. დოლიძის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“, რომელიც დადგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. წუწუნავამ. ეს იყო ამ ოპერის მეასე სპექტაკლი ერევნის თეატრის სცენაზე.

ოპერაში მონაწილეობას იღებენ სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტები ტ. ხაჩატრიანი, გ. გაბრიელიანი, სომხეთის სსრ სახალხო არტისტი დ. პოღოსიანი და სხვ. (საქ. სეს).

### სახალხო სასამართლოების არჩევნები

12 დეკემბერს იზმაილოვოში და ლენინის გორაზე, კრასნაია პრესნიაში და ენთუზიასტთა გზატკეცილზე, მოსკოვის ყველა რაიონში მიმდინარეობდა სახალხო სასამართლოების არჩევნები.

დილის 6 საათზე საარჩევნო პუნქტების კარები სტუმართმოყვარულად გაიღო მოსკოველებისათვის, რომლებიც მოდიოდნენ დიადი მოქალაქეობრივი მოვალეობის მოსახდელად. ისინი მოდიოდნენ ერთიანულებად და მთელი ოჯახებით, რათა თავიანთი ნდობით აღეჭურვათ ისინი, ვინც დაიცავს ხალხის ინტერესებს, დაიცავს სოციალისტური საბჭოთა ნაციონალურ-ეროვნული ნაკრებ-ნაკრებ ... ბას.

ამ ხმას აძლევენ 80 წლის ასაკის მასწავლებელი ქალი ც. ფ. მიუნტერი, რომელმაც თავის სიცოცხლეში ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი აღზარდა, ახალგაზრდა მხაზველი ვ. ა. კოროვინი, და კადრის მუშა ა. ი. კოლიასკინა.

12 დეკემბერს მოსკოვში პირველად იყარა კენჭი სახალხო მოსამართლეობის კანდიდატობაზე 27 ახალგაზრდა იურისტმა.

აღფრთოვანებული განწყობილებით, იმის შეგნებით, რომ ირჩევენ თავიანთ სახალხო სასამართლოებს, მოდიოდნენ მოსკოველები წითელ ალმებით დამშვენებულ, ცოცხალი ყვავილებით მორთულ პუნქტებში ხმის მისაცემად.

ლენინის რაიონის № 57 საარჩევნო პუნქტში მთელი ოჯახით, რომელიც 13 კაცისაგან შედგება, მოვიდა შთამომავლობით მუშა სტეფანე ვასილის-ძე ეროვი. მისი ოჯახი დიდი და ერთსულოვანია, ამ ოჯახში რვა ამომრჩეველია. ისინი ყველანი ერთად მოვიდნენ ხმის მისაცემად.

თავიანთი ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოსთვის სიამაყის გრძნობით მოდიოდნენ გუშინ საარჩევნო პუნქტებში მეტალურგები და მანქანათმშენებლები, მხატვრები და მწერლები, მეცნიერების მოღვაწენი, დიასახლისები, სტუდენტი ახალგაზრდობა. ვინ არიან მათი სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატები?

ჩრდილოეთ-ბაიკალის რაიონში ამომრჩევლები ბიულეტენებში კითხულობდნენ ყოფილი მტკვარ-თავის ი. ი. პანინის, სტამბის ასოთამწყობის ქ. გ. აგაპეევის, მასწავლებელ ე. ა. ლუბაროვსკაიას გვარებს; კრასნაია პრესნიას რაიონში — მღებრის გ. ვ. იურკოვის; სტალინის რაიონში — ყოფილი მეომრის, სამშობლოს დამცველის გ. ი. სემიონოვის, კუიბიშევის რაიონში — ინჟინერ ვ. ნ. შირენოვის გვარებს. დედაქალაქის მშრომელთა მიერ დასახელებულ კანდიდატთა სიებში არიან დიასახლისი ზ. ა. ხოტულევა და გაზეთ „სოვეტსკაია კულტურის“ რედაქტორის მოადგილე კ. პ. პიოტროვსკი.

დედაქალაქში სახალხო მოსამართლეობაზე კენჭი იყარა 187 კანდიდატმა და სახალხო მსაჯულობაზე 14 ათასზე მეტმა კანდიდატმა. ეს ერთ-ერთი დამადასტურებელია საბჭოთა სასამართლოს — კოლეგიალური ორგანოს დემოკრატიულობისა, სადაც მართლმსაჯულებისა და სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე დგანან მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო ადამიანები.

აქტიურად ჩაიარა კენჭისყრამ მოსკოვის ყველა რაიონში. უკვე დღის პირველ ნახევარში საარჩევნო პუნქტების მეტ ნაწილში ხმა მისცა ამომრჩეველთა 90-98 პროცენტმა.

• • •

12 დეკემბერს სახალხო სასამართლოების არჩევნები გაიმართა აგრეთვე რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, ლიტვის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთისა და კარელია-ფინეთის მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქებსა და სოფლებში.

არჩევნები ყველგან გადაიქცა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო საბჭოთა ადამიანების დარაზმულობისა და ერთიანობის მკაფიო დემონსტრაციად. (საკ. სეს).

### მოლოტოვისა და იაროსლავლის ოლქების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კარტოფილის დამზადებისა და შესყიდვის მათთვის დაწესებული სახელმწიფო გეგმები შეასრულეს

მოლოტოვისა და იაროსლავლის ოლქების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის მათთვის დაწესებული სახელმწიფო გეგმები. სახელმწიფოს ჩააბარეს მოლოტოვის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კარტოფილი 57 ათასი ტონით მეტი და ბოსტნეული 12 ათასი ტონით მეტი და იაროსლავლის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა — კარტოფილი 36 ათასი ტონით და ბოსტნეული 3 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შარშან.

### მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის

#### საუბრები, ლექციები, მოხსენებები

სოხუმი. (საკ. კორ.). სოხუმის რაიონის საარჩევნო პუნქტებთან შექმნილ აგიტპუნქტებში დილიდან საღამომდე არ წყდება მუშაობა. განუწყვეტლივ მოდიან ამომრჩეველები. ზოგი სიაში თავის გვარს ამოწმებს, ზოგი — მორიგე აგიტატორისაგან განმარტებას იღებს თავისთვის საინტერესო საკითხებზე, ზოგი კი საარჩევნო ლიტერატურას ეცნობა. ეწყობა ახალგაზრდა ამომრჩეველთა შეკრებანი, იმართება ლექცია-მოხსენებები, კონცერტები და სხვ.

საინტერესოდ წარმართავს მუშაობას სოფ. თავისუფლების საარჩევნო პუნქტთან არსებული აგიტპუნქტი, რომელსაც ამხ. ი. ჩოჩელი ხელმძღვანელობს. ეს აგიტპუნქტი 26 აგიტატორს აერთიანებს. თვითეული აგიტატორი კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ საპატიო მოვალეობას. მათ დიდი ხანია დაამთავრეს არჩევნების დებულების გაცნობა. ამჟამად ამომრჩევლებს აცნობენ სახალხო მოსამართლის და მსაჯულთა კანდიდატების ბიოგრაფიებს.

საინტერესო, მიმზიდველი საუბრებით ამომრჩეველთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა აგიტატორმა ნ. ჩაბრავამ. იგი ყოველი საუბრისათვის წინასწარ გულდასმით ემზადება, საუბრის პროცესში იყენებს თვალსაჩინოებას. ამხ. ჩაბრავა ამომრჩევლებს აცნობს კანდიდატთა ბიოგრაფიებს, მათს საქმიანობას. კარგად მუშაობენ აგიტატორები ნ. მალანია, ვ. ფირცხალავა.

მაღალ დონეზე დგას საგიტაციო-მასობრივი მუშაობა სოფლების შუქურის, ეშერის და სხვა საარჩევნო პუნქტებთან არსებულ აგიტპუნქტებში.

რაიკომის ლექტორთა ჯგუფის (ხელმძღვანელი ამხ. შ. კუპრეიშვილი) წევრები კითხულობენ ლექციებ-მოხსენებებს.

სოხუმის რაისაბჭოს აღმასკომი, პარტიული ორგანიზაციები ყველაფერს აკეთებენ სახალხო სასამართლოების არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

### ტყიბულელ მეშახტეებთან

ტყიბული. (საკ. კორ.). საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთჯერ გამარჯვებული შახტის — ლენინის სახელობის შახტის მასსავლელთან დიდი ტრანსპარანტია:

„1954 წლის 19 დეკემბერი სახალხო სასამართლოების არჩევნების დღეა. ყველანი არჩევნებზე!“.

მეშახტეთა საცხოვრებელი სახლების ფასადებზე არჩევნებისადმი მიძღვნილი ლოზუნგები და პლაკატებია გამოკიდებული, ფრიალებენ ალისფერი დროშები. შახტის თავზე ყოველ ღამეს ანთია წითელი ვარსკვლავი — ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო დავალების წარმატებით შესრულების ნიშანი.

მეშახტეებმა რაიონის პირველი უბნის სახალხო მოსამართლის კანდიდატად ერთხმად დაასახელეს გამოჩენილი იურისტი, კომუნისტი ვასილ არსენის-ძე მახარაშვილი.

სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად წარგზავნილი არიან შახტის მოწინავე ადამიანები: სოციალისტური შრომის გმირი ა. ქასრაძე, მებიგე მ. გვენეტაძე, მნგრეველი ს. გვენეტაძე, ქვანახშირის გადამჩეველი ქალი თ. ბეროძე, სამთო ინჟინერები გ. შუმლაძე და ნ. ღოღობერიძე.

შახტის ტერიტორიაზე პოლიტიკურ-მასობრივ მუშაობას 78 აგიტატორი ეწევა. ისინი სისტემატურად დადიან ამომრჩეველთა ბინებში, მართავენ საუბრებს აქტუალურ საკითხებზე, ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ამომრჩევლებისათვის კანდიდატთა ბიოგრაფიების გაცნობას.

## სახელმწიფო ერმიტაჟი

ლენინგრადი. („კომუნისტის“ კორ.). სახელმწიფო ერმიტაჟი ლენინგრადში ერთ-ერთი ყველაზე დიდი, დიდი ხანია ბოლო მოუღეს თავისი მუზეუმია. მის დარბაზებსა და სათავსებში ინახება 2 მილიონზე მეტი ექსპონატი. ასობით დარბაზის გულმოდგინე, თანმიმდევრული დათვალიერებისათვის მნახველმა მრავალი კილომეტრი უნდა გაიაროს.

ერმიტაჟი დიდი პოპულარობით სარგებლობს. ყოველწლიურად მას ათვალიერებს მილიონზე მეტი ადამიანი, რომელთა შორის ბევრია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, აგრეთვე უცხოეთიდან ჩამოსული.

ერმიტაჟის ექსპოზიციების საშუალებით შესაძლებელია თითქმის ყველა ეპოქისა და ხალხის კულტურისა და ხელოვნების განვითარების ისტორიის თანმიმდევრულად შეხწავლა. აქ თავმოყრილია სხვადასხვა მასალები — დაწყებული უძველესი საუკუნეების ქვის პრიმიტიული იარაღით და დამთავრებული ლეონარდო და ვინჩის, რაფაელის, ტიციანის, მიქელანჯელოს, რუბენსის, ვან დეიკის, რემბრანდტის და მსოფლიოში ცნობილი ბევრი სხვა ოსტატის უბადლო ქმნილებებით.

მონუმენტური მხატვრული ნაწარმოებებიდან ყურადღებას იპყრობს საბჭოთა კავშირის უზარმაზარი რუკა, რომელსაც 27 კვადრატული მეტრი ფართობი აქვს. რუკა შედგენილია ფერადი ქვების ათეულ ათასობით ნაწილაკებისაგან, რომლებითაც გამოსახულია ადგილმდებარეობის რელიეფი, ზღვების სიღრმე, მთების სიმაღლე. ეს უნიკალური რუკა იძლევა თვალსაჩინო წარმოდგენას ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის დღევანდელ სიდიადეზე, ქვეყნისა, რომლის გმირულ წარსულს მნახველებს აცნობს პეტრე I-ის გალერეის ექსპოზიციები და VIII-XII საუკუნეების რუსული კულტურის ისტორიის გამოფენები.

საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც დიდი ხანია ბოლო მოუღეს თავისი ქვეყნის ჩამორჩენილობას, სათუთად ინახავენ თავიანთი სახელოვანი წინაპრების ხსოვნას, რომლებმაც მცირე წვლილი როდი შეიტანეს კულტურის განვითარებაში. ერმიტაჟის მასალები დაწვრილებით ასახავენ ნიჟეერი მექანიკოსის ანდრია ნარტოვის, გენიალური მიხეილ ლომონოსოვის, შესანიშნავი გამომგონებლის ივანე კულიბინის და სხვა გამოჩენილ ადამიანთა მთელი პლეადის მოღვაწეობას, ვისი სახელებიც პროგრესის სიმბოლოდ გადაიქცნენ.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ჩინური სახვითი ხელოვნების გამოფენა, რომელიც მოთავსებულია რამდენიმე დარბაზში. აღტაცებით ათვალიერებენ მნახველები უთხელესი ფაიფურის მოხატულ ვაზებს, ბრინჯაოს ჭურჭელს, აბრეშუმის გობელენებს, ჩინეთის სკულპტურის, გრაფიკისა და დეკორაციული ხელოვნების ნაწარმოებებს.

დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე XVII-XIX საუკუნეების ინდოეთის ხელოვნების ნიმუშები. საყოფაცხოვრებო საგნებისა და იარაღის, ქსოვილებისა და ხალიჩების, ხეზე და ძვალზე კვეთილობის, ლითონის ნაწარმის მაღალი მხატვრული დონე მოწმობს ძველი ინდოელი ხალხის კულტურასა და ტექნიკას.

ერმიტაჟი ყოველწლიურად აწყობს სამეცნიერო ექსპედიციებს ახალი მასალების გამოსანახავად. განსაკუთრებით ძვირფასი ნივთები ნაპოვნია, კერძოდ, ამიერკავკასიაში ერევნის ახლოს მდებარე გორაკის კარმირ-ბლურის გათხრების შედეგად. ეს ახალ შუქს ჰფენს ძველი ძლიერი სახელმწიფოს ურარტუს ისტორიას, სახელმწიფოსი, რომელშიც, დაწყებული VIII საუკუნიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე, შედიოდნენ ამიერკავკასიის სამხრეთი ოლქებიც.

სახელმწიფო ერმიტაჟი წარმოადგენს დიდი სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ცენტრს. მას ჰყავს მეცნიერ მუშაკთა დიდი შტატი. აქ სპეციალურ ლექტორიუმში იკითხება საჯარო ლექციები კულტურისა და ხელოვნების ისტორიის საკითხებზე.

ერმიტაჟი დიდ დახმარებას უწევს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მუზეუმებს. მაგალითად, აქედან საქართველოს ხელოვნების ისტორიის მუზეუმს უკანასკნელ ხანებში გაეგზავნა რამდენიმე ასეული სამუზეუმო ექსპონატი — გამოჩენილ მხატვართა მიერ შესრულებული სურათები, ბრინჯაოს ქანდაკებები, ძველი დროის ქსოვილთა ნიმუშები, ფაიფურის ნაწარმი და სხვ.

ერმიტაჟის ექსპოზიციები იმას მოწმობს, რომ, როგორც ი. ბ. სტალინმა აღნიშნა, ყოველ ერს თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიო კულტურის საგანძურში და ავსებს, ამდიდრებს ამ საგანძურს.

**ო. კარიშევი.**



სურათზე: ყოფ. ზამთრის სასახლე, სადაც მოთავსებულია სახელმწიფო ერმიტაჟი.

ფოტო ავტორისა.

*სადღეისო თემაზე*

## აგროზოოტექნიკური კურსები

**ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაღალი მოსავლის მოყვანის ამოცანის გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული კოლმეურნეთა მასობრივ აგროზოოტექნიკურ სწავლებაზე. ამ საკითხს სერიოზული ყურადღება დაუთმო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა და დასახა სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებანი.**

**აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეთა აგროზოოტექნიკურმა სწავლებამ დიდად შეუწყო ხელი ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ზრდას, კოლმეურნეთა აგროზოოტექნიკური ცოდნის მკვეთრად ამაღლებას, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვას, მოსავლიანობის გადიდებას.**

**წინა წლებთან შედარებით გასულ სასწავლო წელს უფრო ორგანიზებულად მოეწყო კურსების მუშაობა, უშუალოდ მტს-ებსა და კოლმეურნეობებში სამუშაოდ მრავალი სპეციალისტი მივიდა, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.**

**რა მდგომარეობაა სამწლიან აგროზოოტექნიკურ კურსებზე 1954-1955 სასწავლო წელს?**

**სადაც ამ საკითხს სათანადო ყურადღება დაუთმეს, იქ მდგომარეობაც კარგია. მაგალითად, მახარაძის, თელავის, ქუთაისის, ცხაკაიას მტს-ებმა სერიოზული ღონისძიებანი განახორციელეს. მეცადინეობის დაწყებამდე მოაწყეს კურსების მასწავლებელთა სემინარები სწავლების მეთოდიკისა და ორგანიზაციის საკითხებზე, კურსები დააკომპლექტეს კვალიფიციური მასწავლებლებით, სწავლებისათვის შექმნეს ნორმალური პირობები, დროულად დაიწყეს მეცადინეობა. ამ მხრივ მისაბაძია სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის (მახარაძის რაიონი), სოფელ კურდღელაურის ენგელსის სახელობის (თელავის რაიონი), სოფელ რიონის კიკვიძის სახელობის (ქუთაისის რაიონი) და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობების გამგეობათა მუშაობა. მათ კურსები უზრუნველყვეს სასწავლო-მატერიალური ბაზით.**

**მაგრამ ბევრგან ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის შეუფასებლობა გამოიჩინეს. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის წნორის, ვარდისუბნის, აფენის, ნაფარეულისა და გარდაბნის მტს-ებზე. ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის მათ კურსების დაკომპლექტების ხელმა შესრულებული არ ჰქონდათ, უგულებელყვეს კურსების უზრუნველყოფა სასწავლო-მატერიალური ბაზით, არ შეარჩიეს კურსებისათვის მასწავლებლები, არ მოუწყვიათ სემინარები.**

**ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ აღნიშნული მტს-ების დირექტორებმა უდარდელობა გამოიჩინეს აგროზოოტექნიკური სწავლების საქმისადმი. ასეთ მდგომარეობას ვხვდებით რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა მტს-ებში. აუცილებელად საჭიროა სასწრაფოდ გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი აგროზოოტექნიკურ სწავლებაში.**

**ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უნდა გაუმჯობესონ სამწლიანი აგროზოოტექნიკური კურსების მუშაობა. სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმოთ მეცადინეობის სისტემატურობას და მის ხარისხს. საჭიროა კურსები ყველგან უზრუნველყოთ სასწავლო-მატერიალური ბაზით, ფართოდ გამოვიყენოთ სწავლებაში სამეცნიერო-პოპულარული კინოფილმები. აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ზოოტექნიკურ სწავლებას მომთაბარე მეცხოველეობის კოლმეურნეობებში.**

**ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ აგროზოოტექნიკურ კურსებზე მეცადინეობა საღმუშოდ იყოს მოწყობილი. საჭიროა ამ პირობების გონივრულად გამოყენება.**



**თბილისი.** ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში, რომლის კოლექტივი ენთუზიაზმით ჩაება მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, თავი ისახელეს ამწყობმა ზეინალბმა ს. ნიკულინმა (ხუთაფზე მარცხნივ) და შ. ომანიძემ (მარჯვნივ). ნიკულინი ამჟამად მუშაობს 1966 წლის ანგარიშში, ხოლო ომანიძე — 1960 წლის ანგარიშში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

◁ ★ ▷

## ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის

### მეორთქლმავლეები — შეჯიბრების ავანგარდში

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის უყეფილი მაჩვენებლების მოპოვებაში ბაკოელ მეორთქლმავლეებს ეჯიბრება. თბილისელმა მეორთქლმავლეებმა მიმდინარე წლის 11 თვეში საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს. გარეცხვითი შეკეთებიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 72 ორთქლმავალი, აწევითი შეკეთებიდან — 5, ამასთან შესაკეთებლად ორთქლმავალთა დგომის ვადა საგრძნობლად შეამცირეს.

გაბელილ ათ თვეში საორთქლმავლო გუნდებმა ნორმის გადამეტებით 38.112 ტონა სახელმწიფო ტვირთი გადაზიდეს და 238 მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანეს. ამასთან მიაშენელოვნად გადააჭარბეს მატარებლების გარბენის ნორმებს, გაზარდეს ორთქლმავლის საათობრივი ტექნიკური სიჩქარე და 8,5 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება.

ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის დეპოში გაჩაღებულია პროფესიათა მიხედვით ინდივიდუალური სოციალისტური შეჯიბრება, რომელს ბევრი მონაწილე მამაცური შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევა. უფროსმა მემანქანემ ბ. ქსოვრელმა და მისმა მეწყვილემ ი. ზიზინმა თავიანთი ორთქლმავლის შეკეთებათაშორისი გარბენი აიყვანეს 170 ათას კილომეტრამდე, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 70 ათასი კილომეტრისა, ამასთან გასწიეს 66 ტონა სათბობისა და 59 ათასი მანეთის ეკონომია. უფროსმა მემანქანემ ლ. ბერიძემ და მისმა მეწყვილემ ი. კაზაკოვმა თავიანთი ორთქლმავლის ურემონტოდ გარბენი 162 ათას კილომეტრამდე აიყვანეს და ამასთან გასწიეს 134 ტონა სათბობის ეკონომია, რკინიგზის ტრანსპორტს დუზოგეს 50 ათასი მანეთი.

ორთქლმავლების შეკეთებათაშორისი პერიოდის გახანგრძლივება გარეცხვითი და აწევითი შეკეთების საამქროთა ბაყოფილი მუშაობის შედეგია. ამ საამქროებში ფართოდ იყენებენ მცირე მექანიზაციას, ყველა არსებულ ტექნიკურ საშუალებებს, ნოვატორული მუშაობის ახალ მეთოდებს, მაგალითად, ორთქლმავლების კვანძების პერიოდული რემონტის წესს. ამასთან დეპოში მასობრივად დანერგეს ლიფონოს ძალოსნური და ჩქაროსნული ჭრის მეთოდები მუშაობა, შემოიღეს საჭისთა ალესვის ცენტრალიზაცია, გააძლიერეს კომუნისტების ავანგარდული როლი წარმოებაში. ჩქაროსნული ჭრის ოსტატები — საამქროს პარტჯგუფორგანიზატორი ს. ბერნტატი, კომუნისტები ი. ანუსი, ვ. კოლოსოვსკი და კომკავშიფელი ვ. დავითაშვილი ყოველდღიურ ნორმას 200-250 პროცენტით ასრულებენ.

ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში ვლინდებიან ახალი ადამიანები.

ზეინკლმა კომუნისტმა ბ. ხმიადაშვილმა, რომელიც 1957 წლის ანგარიშში მუშაობს, უკვე მიაღწია ყოველდღიური ნორმის ხუთმაგად შესრულებას.

შეჯიბრების გაჩაღებასთან ერთად დეპოში შესამჩნევად გაძლიერდა რაციონალიზატორული მუშაობა. ამას წინათ აწევითი შეკეთების საამქროს ოსტატის კომუნისტ გ. ბერიაშვილის წინადადებით შეცვალეს ძენი ერთ-ერთი ჩარხის ცილინდრის კინემატიკური სქემა, რის შედეგად დაზგის წარმადობა ერთიორად გადიდდა.

შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვისა და გავრცელების სათავეში დგანან დეპოელი კომუნისტები — პ. მაზმიშვილი, ვ. ნიკოლეიშვილი, ა. შენგელია, ვ. ბლოხინი, კომკავშირელი ზ. მუმლაძე და სხვები.

დეპოს პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ბრძოლა მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, ხელს უწყობენ ყოველივე ახლის და პროგრესულის გავრცელებას, რაც იწვევს საერთო აღმავლობას.

მეორთქლმავლეებმა უკვე შეასრულეს ორთქლმავალთა გარეცხვითი და აწევითი შეკეთების წლიური გეგმა და ოქტომბერში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვეს.

**ს. ზოლნია.**

პარტიული ცხოვრება

## რაიკომი და პირველადი ორგანიზაცია

მოქალაქე ე. ნაზაროვიჩის სიგნალის საფუძველზე პარტიის გარდაბნის რაიკომმა შეისწავლა ყარაიის სარძეო საბჭოთა მეურნეობის პარტიულის მდივნის ვ. ხოდერიანის საქმიანობა. გამოირკვა, რომ იგი ეწეოდა გარყვნილ ცხოვრებას, სუსტად ხელმძღვანელობდა პარტიულის მუშაობას. თავისი უდარდელობითა და უპასუხისმგებლობით საბჭოთა მეურნეობაში ჩაშალა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. რაიკომის მდივრმა ვ. ხოდერიანი მოხსნა საბჭოთა მეურნეობის პარტბიუროს მდივნობიდან. ამავე დროს საორგანიზაციო განყოფილების გამგეს ს. კულიევს დაავალა მოემზადებინა და ჩაეტარებინა მეურნეობის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება.

ამბ. კულიევს სკამოო დრო ჰქონდა საანგარიშო-საარჩევნო კრების მომზადებისათვის. მოსალოდნელი იყო, რომ იგი დაწვრილებით შეისწავლიდა პარტიული ორგანიზაციის მუშაობას, გამოარკვევდა ხელისშემშლელ მიზეზებს და პარტბიუროს წევრებთან ერთად კრებისათვის შეემუშავებდა პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფდა პარტორგანიზაციის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. სინამდვილეში ს. კულიევს ერთი საათიც კი არ დაუხარჯავს პარტიული კრების მომზადებისათვის. ამის გამო პარტიული კრება დაბალ იდეურ დონეზე ჩატარდა. კრებას ამბ. კულიევთან ერთად ესწრებოდა რაიკომის ინსტრუქტორი ნ. ვოლკოვი. საანგარიშო მოხსენებაში ვ. ხოდერიანმა ვერ-დი აუარა არსებულ ნაკლოვანებებს. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტებისათვის კრება მოულოდნელი იყო, კამათში მაინც მონაწილეობა მიიღო 10 ამხანაგმა, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკეს პარტბიუროსა და მისი მდივნის ვ. ხოდერიანის მუშაობა.

პარტბიუროს მდივნად არჩეულ იქნა ვ. ლავრინენკო, რომელიც დაბალი განათლებით არის. ამიტომ ახლადარჩეულ მდივანს რაიკომის დახმარება და ყურადღება ესაჭიროებოდა, ამბ. ს. კულიევს კი დახმარებისათვის თავი არ შეუწუხებია.

აგვისტოში მოწვეულმა პარტიულმა კრებამ განიხილა რაიკომის მიერ რეკომენდებული საკითხი „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება და სოფლის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“. სამწუხაროდ, კრებას ამ მნიშვნელოვან საკითხზე არ მიუღია რაიმე გადაწყვეტილება.

სექტემბერში კვლავ შედგა პარტიული კრება. რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორის ამბ. ვოლკოვის რეკომენდაციით სხვა საკითხებთან ერთად კრების დღის წესრიგში შეტანილ იქნა საკითხი დირექტორის ბრძანებების შესრულების შედეგების შესახებ. კრების მსვლელობისას გამოირკვა, რომ საკითხი შესწავლილი არ იყო და მისი განხილვა გადაიდო. ეს არ მოხდებოდა, რომ ამბ. ვოლკოვს ადგილზე საქმე გულდასმით შეესწავლა და პარტორგანიზაციას დახმარებოდა საკითხის სწორად განხილვასა და გადაწყვეტაში.

დასახელებული ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ რაიკომის საორგანიზაციო განყოფილება არის პირუტყვის კვების რაციონი, ნაკლები ყურადღება ექცევა ფერმაში სისუფთავის დაცვას, ირღვევა წველის ტექნიკური წესები, მოწესრიგებელია პირუტყვის დარწყულება და სხვ. ამჟამად საბჭოთა მეურნეობაში მიმდინარეობს პირუტყვის სადგომების რემონტი, მაგრამ ზოოტექნიკოსები ნაკლებად არიან დაინტერესებული ამ საქმით.

საბჭოთა მეურნეობას არ შეუსრულებია სილოსის დამზადების გეგმა, 950 ტონის ნაცვლად ჩადებულია 722 ტონა სილოსი. 17 ჰექტარის ნაცვლად ძირნყოფები აღებულია 14 ჰექტარზე. პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. ლავრინენკო, უფროსი ზოოტექნიკოსი დ. ჩხეკვაძე და უფროსი აგრონომი ი. შაბიძე ჩამორჩენას „ობიექტური“ მიზეზებით ხსნიან და თავს არ იწუხებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად, ღრმად ვერ სწვდებიან მეურნეობის ეკონომიკას, ვერ ხედავენ არსებულ შესაძლებლობებს.

რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების, აგრეთვე პრობაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მუშაკები იშვიათად დადიან ყარაიის სარძეო საბჭოთა მეურნეობაში და როცა მიდიან, ნაჩქარევად შეიკრიბებიან, არ ესაუბრებიან კომუნისტებს, მოწინავე მუშებს, არ სწავლობენ არსებულ მდგომარეობას, საქმიან დახმარებას არ უწევენ პარტიულ ორგანიზაციას და მის მდივანს ამბ. ლავრინენკოს. ისინი უფრო ხშირად ამჯობინებენ რაიკომში გამოიძახონ ამბ. ლავრინენკო და იქ მისცენ მას მითითებები.

საბჭოთა მეურნეობისა და მისი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ყველა ამ ნაკლოვანებებმა სათანადო ასახვა ვერ ჰპოვა პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, რომელიც ამას წინათ ჩატარდა. პარტორგანიზაციის მდივანმა ამბ. ლავრინენკომ საანგარიშო მოხსენება გვერდახვევარ ქაღალდზე დასტა. აქედან ერთი გვერდი დაუთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების დადგენილებათა მნიშვნელობის განმარტებას, ხოლო ნახევარ გვერდზე გადმოსცა პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობა, დასასრულ კი აღნიშნა, რომ სამემოდგომო თესვა კარგად ჩატარდა და მომავალი წლის მოსავალს კარგი პირი უჩანსო. არც მომხსენებელს და არც კამათში მონაწილე ამხანაგებს არაფერი უთქვამთ მეურნეობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, არ წამოუყენებიათ კონკრეტული წინადადებანი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. არც რაიკომის წარმომადგენელს ლ. არუთინოვს გაუკეთებია რაიმე მნიშვნელოვანი შენიშვნა და პარტიული ბიუროს ახალი შემადგენლობის არჩევის შემდეგ თავისი მოვალეობა მოხდილად ჩათვალა.

ყარაიის სარძეო საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის მაგალითი ახასიათებს პარტიის გარდაბნის რაიკომის ხელმძღვანელობის სტილს, გვიჩვენებს, რომ რაიკომის ზოგიერთ მუშაკს ვერ გაუგია პარტიული აპარატის გარდაქმნის მნიშვნელობა და კვლავ ძველებურად მუშაობს.

**ა. კევლიშვილი.**

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, ა. წ. 7 ნოემბერს საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ამერიკის ბ-29 ტიპის სამხედრო თვითმფრინავმა დაარღვია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი ტანფილიევის კუნძულის (კურილის კუნძულები) რაიონში.

17 ნოემბერს საბჭოთა მთავრობის 7 ნოემბრის ნოტის პასუხად მოსკოვში აკრედიტებულმა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ გამოგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შემდეგი ნოტა:

„შეერთებული შტატების მთავრობა იმოწმებს თავის 7 ნოემბრის ნოტას საბჭოთა მთავრობისადმი იმის შესახებ, რომ 7 ნოემბერს (ადგილობრივი დროით) „მიგ“ ტიპის ორმა საბჭოთა თვითმფრინავმა ჩამოაგდო შეერთებული შტატების ბ-29 ტიპის თვითმფრინავი ხოკაიდოს რაიონში (იაპონია), და საბჭოთა მთავრობის ამავე თარიღის ნოტას ამ საკითხზე.

შეერთებული შტატების მთავრობა უარყოფს, როგორც დაუსაბუთებელს, ინციდენტის ვერსიას, რომელსაც შეიცავს 7 ნოემბრის საბჭოთა ნოტა. თავდასხმა დაიწყეს საბჭოთა თვითმფრინავებმა გაუფრთხილებლად და სრულიად არ უცდიათ მიეცათ სიგნალი ამერიკის თვითმფრინავის პილოტისათვის. შეერთებული შტატების თვითმფრინავს მთელი ხნის განმავლობაში არ დაუშენია ცეცხლი საბჭოთა თვითმფრინავისათვის. საბჭოთა თვითმფრინავების მხრივ სრულიად გაუმართლებელი და მტრული აქტის შედეგად შეერთებული შტატების თვითმფრინავი მოსპობილ იქნა, დაიმსხვრა რა სოფელ ნოკეგუნის ახლოს კუნძულ ხოკაიდოზე.

შეერთებული შტატების მთავრობა კვლავ პროტესტს აცხადებს ამ ყველაზე უკანასკნელი ინციდენტის გამო, რომელიც ეკუთვნის მთელ რიგ არაპროვოცირებულ საბჭოთა თავდასხმებს ამერიკის თვითმფრინავებზე, როცა ისინი ასრულებდნენ მშვიდობიან მიზნებთან დაკავშირებულ დავალებებს. ამასთან დაკავშირებით შეერთებული შტატების მთავრობა აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობას ჯერ კიდევ არ გაუცია პასუხი შეერთებული შტატების მთავრობის 1954 წლის 25 სექტემბრის ნოტაზე, რომელიც შეეხება ამერიკის ბ-29 ტიპის სხვა თვითმფრინავის მოსპობას დაახლოებით იმავე რაიონში და იმავე გარემოებაში. იმავე ნოტაში აგრეთვე კვლავ აღნიშნული იყო, რომ შეერთებული შტატების მთავრობა მხარს უჭერს იაპონიის მთავრობის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ხაბომაის კუნძულების ჯგუფი იაპონიის ეროვნული ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია. შემდეგ შეერთებული შტატების მთავრობა იზიარებს იაპონიის მთავრობის სერიოზულ შეშფოთებას იმის გამო, რომ საბჭოთა მთავრობა არათუ განაგრძობს იაპონიის ტერიტორიის უკანონო ოკუპაციას ხაბომაის კუნძულებზე, არამედ აგრეთვე ახდენს არაპროვოცირებულ თავდასხმებს შეერთებული შტატების თვითმფრინავებზე, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან ამ რაიონში.

შეერთებული შტატების მთავრობა გთხოვთ, რომ იმათ მიმართ, ვინც პასუხისმგებელია ამ არაპროვოცირებული თავდასხმისათვის, მიიღოთ ჯეროვანი დისციპლინარული ღონისძიებები და მიიღოთ ყველა სხვა შესაძლო ღონისძიება, რათა აღიკვეთოს ასეთი ინციდენტების გამეორება, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგებიან საბჭოთა მაღალი თანამდებობის პირთა ამასწინანდელ განცხადებებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ესწრაფვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. საბჭოთა მთავრობის მიერ ასეთი ღონისძიებების მიღება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობების ურთერთ ინტერესების შესაბამისი იქნებოდა. თუ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ არ მიიღო ჯეროვანი ღონისძიებანი, შეერთებული შტატების მთავრობა იძულებული იქნება უზრუნველყოს საჭირო დაცვა შეერთებული შტატების იმ თვითმფრინავთა თავდაცვის მიზნით, რომლებიც ასრულებენ ამ კანონიერ და მშვიდობიან მისიებს, და მთელი პასუხისმგებლობა აქედან გამომდინარე ყოველგვარი შედეგისათვის დაეკისრება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას.

საბჭოთა მთავრობას აგრეთვე ვაცნობებთ, რომ შეერთებული შტატების მთავრობა კვლავ ადასტურებს და ინარჩუნებს თავის უფლებებს ადამიანთა და მატერიალური დანაკლისის მიმართ, რაც გამოწვეულია 7 ნოემბრის საბჭოთა აქციით“.

11 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 17 ნოემბრის ნოტასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის ნოტა.

ქვემოთ მოგვყავს საბჭოთა მთავრობის ნოტის ტექსტი:

„ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ა. წ. 17 ნოემბრის № 390 ნოტასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

საბჭოთა მთავრობის 7 ნოემბრის ნოტა შეიცავდა დადგენილ მონაცემებს, რომელთა თანახმად ა. წ. 7 ნოემბერს 13 საათსა და 20 წუთზე ადგილობრივი დროით (12 საათი და 41 წუთი ვლადივოსტოკის დროით) ამერიკის ბ-29 ტიპის ოთხმოტორიანმა სამხედრო თვითმფრინავმა დაარღვია სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი ტანფილიევის კუნძულის (კურილის კუნძულები) რაიონში და განაგრძობდა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში შემოჭრას ამ კუნძულის მიმართულებით. აღნიშნული კუნძულის თავზე ფრენის დროს საზღვრის დამრღვევ თვითმფრინავს შეხვდა ორი საბჭოთა ავიაგამანადგურებელი, რათა ეჩვენებინა მისთვის, რომ იგი სსრ კავშირის საზღვრების ფარგლებში იმყოფებოდა, და წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ დაეტოვებინა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცე. მაგრამ ამერიკის თვითმფრინავმა ცეცხლი დაუშინა მიახლოებულ საბჭოთა ავიაგამანადგურებლებს. ამერიკის თვითმფრინავის ამ არაპროვოცირებულ მოქმედებასთან დაკავშირებით საბჭოთა თვითმფრინავები იძულებული გახდნენ ცეცხლითვე გაეცათ პასუხი. მხოლოდ ამის შემდეგ საზღვრის დამრღვევმა ამერიკის თვითმფრინავმა დატოვა სსრ კავშირის საჰაერო სივრცე და წავიდა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები, რომლებიც ზუსტად არის დადგენილი სათანადო შემოწმებით, აბათილებენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ხსენებულ ნოტაში მოყვანილ მტკიცებას, თითქოს შეერთებული შტატების თვითმფრინავი საბჭოთა თვითმფრინავს ჩამოეგდოს 7 ნოემბერს იაპონიის ტერიტორიაზე ხოკაიდოს კუნძულის რაიონში და თითქოს თავდასხმა საბჭოთა თვითმფრინავებს დაეწყოთ.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ნოტიდან ჩანს, რომ იგი სადავოდ არ ხდის იმას, რომ ამერიკის ბ-29 ტიპის თვითმფრინავი მიფრინავდა საბჭოთა მთავრობის 7 ნოემბრის ნოტაში აღნიშნული ტრასით და რომ ამერიკის თვითმფრინავი და საბჭოთა თვითმფრინავები ერთმანეთს შეხვდნენ ტანფილიევის (კურილის კუნძულები) კუნძულზე.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აცხადებს, რომ ამერიკის თვითმფრინავს თითქოს არ დაეშინოს ცეცხლი საბჭოთა თვითმფრინავებისათვის. ამავე დროს ის ფაქტი, რომ მიახლოებულ საბჭოთა თვითმფრინავებს ამერიკის თვითმფრინავმა ცეცხლი დაუშინა, უცილობლად დადგენილია, სხვათა შორის სათანადო აპარატურითაც.

ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიმდინარე [illegible] ამერიკის „ბეტონის“ ტიპის საბჭოური თვითმფრინავ[illegible] დაარღვია სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი ოსტროვნოის კონცხის რაიონში მიმდინარე წლის 4 სექტემბერს, აგრეთვე შეიცავდა მტკიცებას, თითქოს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავს საერთოდ არ დაეშინოს ცეცხლი საბჭოთა ავიაგამანადგურებლებისათვის. მაგრამ უფრო გვიან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო სამინისტრომ, აგრეთვე ამერიკის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 1954 წლის 10 სექტემბერს უშიშროების საბჭოში გამოსვლის დროს, აღიარეს, რომ ამერიკის თვითმფრინავმა ნამდვილად აუტეხა სროლა საბჭოთა თვითმფრინავებს.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის განცხადებას, რომ თითქოს სამხრეთ კურილის ზოგიერთი კუნძული, რომელთა რაიონშიც მოხდა ინციდენტები ამერიკის თვითმფრინავებთან, არ იყოს საბჭოთა ტერიტორია, ეს განცხადება საფუძველს მოკლებულია და აშკარად ეწინააღმდეგება იალტის შეთანხმების დებულებებს კურილის კუნძულების შესახებ, შეთანხმებისა, რომლის მონაწილე იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატებიც. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირმა, იაპონიის კაპიტულაციის შესახებ მოკავშირეთა შორის შეთანხმებათა საფუძველზე, მიიღო იაპონიის ჯარების კაპიტულაცია კურილის ყველა კუნძულის ტერიტორიაზე, რომლებიც იალტის კონფერენციის გადაწყვეტილებით საბჭოთა კავშირს გადაეცა. ზემოხსენებული შეთანხმების შესაბამისად მოკავშირე სახელმწიფოთა მთავარსარდლის მაკარტურის შტაბის 1946 წლის 29 იანვრის დირექტივაშიც პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ეს კუნძულები აღარ ექვემდებარება იაპონიის სუვერენიტეტს სხვა ტერიტორიებთან ერთად, რომლებიც იაპონიას ჩამოაცილეს.

ზემოხსენებულის გამო საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას პროტესტის საფუძველი არ მოეპოვება.

საბჭოთა მთავრობამ თავის 7 ნოემბრის ნოტაში უკვე გამოთქვა მწუხარება იმის გამო, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების მიერ სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დარღვევის მოახდარი შემთხვევები. კერძოდ 7 ნოემბრის შემთხვევა, იწვევს, როგორც აღნიშნული იყო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სათანადო ნოტებში, სრულიად გაუმართლებელ მსხვერპლსა და დანაკარგს. აცხადებდა რა ამას, საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მომავალში მიიღებენ ღონისძიებებს, რათა ასეთი შემთხვევები აღარ გამეორდეს.

ღონისძიებათა განხორციელება, რათა მომავალში ამერიკის თვითმფრინავებმა აღარ დაარღვიონ საბჭოთა სახელმწიფო საზღვრები, თავიდან აგვაცილებდა ასეთ ინციდენტებს და მათთან დაკავშირებულ მსხვერპლს. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამას ვერ შეუწყობს ხელს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის განცხადება, რომ მომავალში იგი „უზრუნველყოფს შეერთებული შტატების თვითმფრინავთა საჭირო დაცვას“. ამერიკის სამხედრო სარდლობის ასეთი მოქმედება მხოლოდ გაადიდებს ამგვარი ინციდენტების გამეორების რისკს, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს მოქმედება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ინტერესთა საწინააღმდეგო იქნება.

საბჭოთა მთავრობა ადასტურებს თავის მიმდინარე წლის 7 ნოემბრის ნოტას და მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სათანადო მითითებებს მისცემს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობას — განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რათა მომავალში ამერიკის თვითმფრინავებმა აღარ დაარღვიონ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი“.

## ქალაქების მოსკოვისა და სტალინგრადის მცხოვრებნი უპასუხებენ ქალაქ ხიროსიმას მცხოვრებთ

მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ა. იასნოვმა და სტალინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. ი. შაპუროვმა მიიღეს წერილები ქალაქ ხიროსიმას (იაპონია) მერის ბ-ნ სინძო ხამაისაგან. ამ წერილებში ნათქვამია, რომ ქალაქ ხიროსიმას მოქალაქენი შეიკრიბნენ ატომის ბომბით ამ ქალაქის დაბომბვის მე-9 წლისთავის გამო გამართულ მიტინგზე და მიიღეს მიმართვა, რომელიც შეიცავს მოწოდებას აიკრძალოს ყველა სახეობის ატომგულის იარაღის გამოყენება და დაწესდეს კონტროლი ატომის ენერგიისადმი.

სინძო ხამაიმ იმედი გამოთქვა, რომ მოსკოვისა და სტალინგრადის მცხოვრებნი დაუჭერენ მხარს ქალაქ ხიროსიმას მოქალაქეთა ამ მოწოდებას და მათს მისწრაფებას მთელ მსოფლიოში ხანგრძლივი მშვიდობისადმი.

სტალინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. ი. შაპუროვმა მიმდინარე წლის 10 დეკემბერს შემდეგი წერილი გაგზავნა ბ-ნ სინძო ხამაის სახელზე:

„ბატონ სინძო ხამაის
ქალაქ ხიროსიმას მერს,
იაპონია

პატივცემულო ბატონო მერო!

გავეცანი რა თქვენს 1954 წლის 26 აგვისტოს წერილს, ქალაქ ხიროსიმას მოქალაქეთა მიტინგზე მიღებულ მშვიდობის დეკლარაციასა და რეზოლუციას, ჩემ მოვალეობად მიმაჩნია გაცნობოთ, რომ თქვენი ღონისძიებანი, რომელიც ისახავენ ატომური და წყალბადის იარაღის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის კეთილშობილური მიზნებს, სავსებით შეესაბამება ქალაქ სტალინგრადის მოქალაქეთა ინტერესებსა და სურვილებს.

ქალაქ სტალინგრადის მცხოვრებნი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, იბრძვიან მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის და ბოლომდე მტკიცედ დაიცავენ ამ მოთხოვნებს.

ახორციელებენ რა ამ სამშვიდობო მიზნებს, ქალაქ სტალინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და ქალაქ კოვენტრის (ინგლისი) საქალაქო საბჭოს დელეგაციამ 1954 წლის 9 ნოემბერს ხელი მოაწერეს ქალაქ კოვენტრისა და სტალინგრადის ერთობლივ მიმართვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ.

ეს მიმართვა, აგრეთვე ქალაქ ხიროსიმას მოქალაქეთა მიტინგზე მიღებული დეკლარაცია და რეზოლუცია საერთო წვლილია მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში.

მივესალმები რა თქვენს კეთილშობილურ მოქმედებას კიდევ უფრო გამანადგურებელი ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, გთხოვთ გადასცეთ ქალაქ ხიროსი

*კონსულტაცია*

# ბოსტნეულისა და კარტოფილის შენახვა ზამთარში

ბოსტნეულსა და კარტოფილს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ნორმალური კვების საქმეში, ქალაქისა და სოფლის მშრომელი მოსახლეობის კვების პირობების შემდგომი გაუმჯობესების, მთელი წლის განმავლობაში ახალი ბოსტნეულით მომარაგების მიზნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის და საქართველოს კომუნისტური პარტიის იმავე წლის ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებებით დასახულია უახლოეს წლებში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების მკვეთრად გადიდების ამოცანა. ამ ღონისძიებათა განხორციელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს კარტოფილისა და ბოსტნეულის ზამთარში ხანგრძლივად შენახვის ორგანიზაციას.

მოსახლეობის ნომარაგების უზრუნველყოფა ისეთი ბოსტნეულით, როგორიც არის თავიანი კომბოსტო, სუფრის ჭარხალი, სტაფილო, ხახვი, თალგამი, ბოლოკი და სხვა, ამ პროდუქტების მხოლოდ ხანგრძლივი შენახვით შეიძლება. ამრიგად, ღია გრუნტში მოყვანილი ბოსტნეულის ახალი სახით შენახვას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით კარგად უნდა შევინახოთ სადღედ მასალა და სათესლეები.

არსებობს ბოსტნეულისა და კარტოფილის ხანმოკლე და ხანგრძლივი შენახვის წესი. ხანგრძლივი დროის განმავლობაში შენახვისას საჭიროა საცავი ადგილების კარგად მოშზადება, დროულად აღებული ბოსტნეულისა და კარტოფილის წესიერი გამზადება შესანახად, სწორი ჩაწყობა-ჩაყრა, ნორმალური ტემპერატურისა და ჰაერის ტენიანობის შექმნა და შენარჩუნება ბოსტნეულის ცალკეული სახეების მიხედვით. აუცილებელია სისტემატურად ვადევნოთ თვალყური შენახული ბოსტნეულისა და კარტოფილის მდგომარეობას.

ბოსტნეული და კარტოფილი აღების შემდეგ განაგრძობენ სუნთქვას, რის შედეგადაც გამოიყოფა ნახშირმჟავა გაზი, წყალი და სითბო. ბოსტნეული და კარტოფილი შეიცავენ 75-95 პროცენტ წყალს, ამიტომ ისინი ადვილად ფუჭდებიან. ყველა ღონისძიება უნდა განვახორციელოთ იმისათვის, რომ მაქსიმალურად შევამციროთ ბოსტნეულისა და კარტოფილის სუნთქვა და აორთქლება. ამით მინიმუმამდე შემცირდება ბუნებრივი დანაკლისი და გახანგრძლივდება შენახვის პერიოდი.

შესანახად განკუთვნილი ბოსტნეული უნდა იყოს სუფთა, ცოცხალი (დაუმუშარი), შეძლებისდაგვარად თანაბარი ზომის, არ უნდა ჰქონდეს მექანიკური დაზიანება და ავადმყოფობა.

მაგრამ შენახვისათვის არახელსაყრელ პირობებში ხარისხოვანი ბოსტნეულიც ბალე ფუჭდება. შენახვის მთელ პერიოდში უნდა შეექმნათ ისეთი რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფს შენახული პროდუქციის კარგ ხარისხს და აგრეთვე შეაკავებს წონაში დაკლებასა და დანაკარგებს. უწინარეს ყოვლისა უნდა დავიცვათ ტემპერატურის რეჟიმი და მასთან განუყრელად დაკავშირებული ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა.

ბოსტნეულის შესანახად ყველაზე ხელსაყრელი ტემპერატურაა პლუს 1-3 გრადუსი, 1 გრადუსი დასაშვები რყევადობით. ჭარხალი, სტაფილო, კომბოსტო, ხახვი და ბოლოკი კარგად ინახება 0-დან 1 გრადუსამდე ტემპერატურაზე. სათესლეების შენახვას მინუსოვან ტემპერატურაზე საერთოდ უნდა ვერიდოთ. ჭარხლისა და კარტოფილის შენახვისას ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა უნდა იყოს დაახლოებით 80-90 პროცენტი, სტაფილოს, ხახვისა და ბოლოკისათვის 80-85 პროცენტი.

საცავიდან წყლის ორთქლითა და ნახშირმჟავა გაზით გაჟღენთილი ჰაერი უნდა მოცილდეს და შეიცვალოს ახალი, სუფთა ჰაერით, რომელიც საჭიროა შენახულ პროდუქტში შენელებული ტემპით მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების ნორმალური მსვლელობისათვის. ჰაერის განახლებას საცავში ვაღწევთ წესიერად ნოწყობილი ვენტილაციით.

შენახვის პირველ პერიოდში სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ახლად აღებული ბოსტნეული დიდი რაოდენობით შეიცავს წყალს. ამიტომ აორთქლებაც მეტია, სუნთქვის პროცესიც ინტენსიურად მიმდინარეობს, გარეთა ჰაერის ტემპერატურაც მაღალია. ეს იწვევს შესანახად დაწყობილ ან დაყრილ ბოსტნეულში ტემპერატურის მომატებას, ჩახურებას. ამ შემთხვევაში დაბლა უნდა დავწიოთ ტემპერატურა ვენტილაციის გაძლიერებით. შენახვის შემდეგ პერიოდში შეიძლება ბოსტნეული გაგვეყინოს საცავში ტემპერატურის მინიმალურზე დაბლა დაწევის გამო. ამ შემთხვევაში უნდა შევხღუდოთ ვენტილაცია, დავათბუნოთ საცავები და შევინარჩუნოთ ოპტიმალური ტემპერატურა.

ბოსტნეული და კარტოფილი შეიძლება შევინახოთ სპეციალურ საცავებში, რომლებიც ტიპურია და ცალკეული სახის ბოსტნეულის შესანახად არის განკუთვნილი. ბოსტნეული შეიძლება აგრეთვე შევინახოთ სარდაფებში, ორმოებში, თხრილებში და სხვ.

სხვადასხვა სახის ბოსტნეული სხვადასხვაგვარად ინახება. ძირხვენები და კარტოფილი სარდაფებში შეიძლება შევინახოთ ყრილის სახით, ხარაბებში, თაროებზე, ტარაში (ყუთები, კალათები), სტაფილო წყობილის სახით სუფთა ქვიშის ნაფენით, ძირხვენები და კარტოფილი — გროვებად. ასეთი შენახვა ფართოდ არის გავრცელებული. გროვების ნოსაწყობად არჩევენ მშრალ, შემაღლებულ და ცივი ჭარბებისაგან დაცულ მოხერხებულ ადგილს. ამორჩეულ ადგილას ჭარის ქროლვის მიმართულებით იღებენ 20-25 სანტიმეტრი სიღრმისა და ორი მეტრი სიგანის თხრილს. მისი სიგრძე დამოკიდებულია შესანახი ძირხვენების რაოდენობაზე. ჩვეულებრივ აკეთებენ 10-15 მეტრი სიგრძის თხრილს. თხრილის ძირზე აყენებენ მოწყობილობას ვენტილაციისათვის და ყოველ 3 მეტრზე დგამენ ამწოვ მილებს, რომლებსაც ბოლოებზე ხუფები უკეთდება წვიმის წყლის ასაცილებლად. გროვებად შენახვისას დაწყობას იწყებენ ერთი მხრიდან. ძირხვენებს და კარტოფილს აწყობენ ყრილის სახით, ერთნაირი სიმაღლით მთელი გროვის სიგრძეზე, ხოლო სტაფილოს — შტაბელების სახით ქვიშის ნაფენით.

მოწყობილ გროვას ზევიდან აფარებენ 30-35 სანტიმეტრი სისქის ნამჯას და აყრიან 15-20 სანტიმეტრი სისქის მიწას, შემდეგ კი ძლიერი ყინვების დაწყებისთანავე, როცა გროვის შიგნით ტემპერატურა 3 გრადუსს მიაღწევს, მიწის ფენის სისქეს უმატებენ 35-40 სანტიმეტრს.

ყინვების დაწყების შემდეგ სავენტილაციო მოწყობილობის ბოლოები ჰორიზონტალურ მიწაზე ნამჯით უნდა ამოიქოლოს და ცხენის ნეხვით დაითბუნოს. ასევე ამწოვი მილები ნამჯით უნდა დაიჩქმალოს და სახურავთან ცხენის ნეხვი მიეყაროს. გროვაში დაწყობილი ძირხვენების სიღრმეში ტემპერატურას ზომავენ სპეციალური თერმომეტრით, რომელიც გროვაშია დატანებული. თუ გროვაში ტემპერატურა 0 გრადუსზე დაბლა ეცემა, საჭიროა გროვის დათბუნვა თოვლის, ნეხვის, ნამჯის დაყრით. გროვის შიგნით პლუს 6 გრადუსზე ტემპერატურის აწევის შემთხვევაში აუცილებელია საკვენტილაციო მილების გაღება, დათბუნების მიზნით დამატებული საფარის მოხსნა და ამით ტემპერატურის დაწევა პლუს 1-2 გრადუსამდე.

თუ ამით ტემპერატურამ არ დაიწია და აღმოჩენილია შენახული ძირხვენების გაფუჭების ნიშნები, მაშინ გროვა უნდა დავშალოთ და ბოსტნეული სარეალიზაციოდ გავიტანოთ ან გადავიტანოთ სარდაფებში, საცავებში.

კომბოსტოს ხანგრძლივად შენახვისათვის გამოდგება მხოლოდ საგვიანო და საშუალო საგვიანო ჯიშები. კომბოსტო ძირხვენების მსგავსად შეიძლება შევინახოთ გროვებად და ტრანშეებში. მათი ნოწყობის პრინციპები ძირითადად ერთი და იგივეა. კომბოსტოს უფრო ხშირად ინახავენ სარდაფებში თაროებზე. ამ შემთხვევაში თავებს 4-5 რიგად აწყობენ ქვემო ნაწილით მაღლა. თაროებს შორის დაწყობილი თავების ზემო რიგებს შორის 20-25 სანტიმეტრი მანძილი უნდა დავტოვოთ. ზოგჯერ კომბოსტოს ღრეჩოიან ყუთებშიც ინახავენ, ამ შემთხვევაში შტაბელების სახით აწყობენ რამდენიმე მწკრივად.

ხახვის ხანგრძლივად შენახვისათვის საჭიროა ავარჩიოთ კარგად გამომშრალი, მომწიფებული, მშრალქერქიანი, ერთგვარი ხოლოქვები. სარდაფებში ხახვი შეიძლება შევინახოთ ყუთებში, კალათებში, იატაკზე და თაროებზე. ყუთებსა და კალათებში შენახვისას მოცულობა 20-30 კილოგრამს არ უნდა აღემატებოდეს. არჩეული ხახვი ფრთხილად იყრება და ორ მწკრივად იწყობა შტაბელებში 6-8 იარუსად. შტაბელებს შორის 0,5 მეტრი სიგანის გასასვლელები უნდა დავტოვოთ.

ყრილის სახით ხახვის შენახვისას იატაკზე წინასწარ ქვიშა უდებენ ხის ლარტყებისაგან მესრისებურად შეკრული რიკულს 1,0-1,5 სანტიმეტრი სიგანის ღრეჩოებით. ასეთი რიკული იატაკიდან 8-10 სანტიმეტრ სიმაღლეზე იდგმება კარგი აერაციის მიზნით. ხახვს ამ შემთხვევაში ყრიან გროვებად, რომლის სიმაღლე 0,5, სიგანე 3 და სიგრძე 6 მეტრი უნდა იყოს. ხახვი თაროებზე ყრილის სახითაც კარგად ინახება.

თუ შენახვის დროს საჭირო რეჟიმს შეექმნით და ყველა ზემოჩამოთვლილ ღონისძიებას განვახორციელებთ, გაუთვალისწინებელი დანაკლისი არ გვექნება და უზრუნველყოფთ ხანგრძლივი შენახვის კარგ შედეგს.

**დოცენტი ბ. კვაჭაძე,**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.**

## ვაზის კულტურა 1.300 მეტრ სიმაღლეზე

1951 წელს კოჯორში, მეცხრე საბავშვო სახლის ტერიტორიაზე, საცდელად გაშენდა ალიგოტესა და პინოს ჯიშების ვაზი. წელს დაძატებით დაირგო შასლას ჯიშის ვაზი. სულ დარგულია 46 ძირი.

პირველი მოსავალი შარშან მივიღეთ, წელს კი თვითეულ ძირზე მიღებულია 2,5-3 კილოგრამი ყურძენი. იგი კარგი ხარისხისაა. ალიგოტეს ჯიშის ყურძენში შაქრიანობამ მიაღწია 17 პროცენტს, ხოლო პინოს ყურძენში — 16,5 პროცენტს.

**აგრონომი ა. გამყრელიძე.**

# პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს მოწოდება ევროპის მშრომელებისადმი

ვარშავა, 11 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს სხდომაზე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს მეშვიდე სესიის დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს მოწოდება ევროპის მშრომელი მამაკაცებისა და ქალებისადმი. მოწოდებაში ნათქვამია:

მშრომელო მამაკაცებო და ქალებო, ევროპის პროფკავშირთა წევრებო და აქტივისტებო!

ესოდენ პასუხსაგებ მომენტში, როცა ომის ძალები საფრთხეს უქმნიან ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურ საბჭოს თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნია მიმართოს ყველა შრომელს.

ძვირფასო ამხანაგებო!

სერიოზული საფრთხე მოეკვლინა დღეს ევროპის უშიშროებას და მთელი მსოფლიოს მშვიდობას. „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ჩაფუშვის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიისა და სხვა ქვეყნების მთავრობებმა დადეს პარიზის შეთანხმებანი, რომელთა მიზანია გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, აგრესიული არმიის შექმნა, რომელსაც ექნება ატომური იარაღი და სათავეში ეყოლება სამხედრო დამნაშავე ჰიტლერელი გენერლებისაგან შემდგარი გენერალური შტაბი. ასეთია სინამდვილის მკაცრი ფაქტები.

ძვირფასო ამხანაგებო!

პარიზის შეთანხმებათა მონაწილენი ამტკიცებენ, რომ ეს შეთანხმებანი თითქოს ხელს შეუწყობენ მოლაპარაკებას და დასახავენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შესაძლებლობას. პირიქით, პარიზის შეთანხმებანი, როგორც ყველასთვის ნათელია, გააძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას. მათი რატიფიკაცია და განხორციელება აუწერელ გაჭირვებას მოგვიტანს და გამოიწვევს კიდევ უფრო გაფფრებულ შეტევას მშრომელთა ცხოვრების დონეზე, ხელფასსა და სოციალურ მონაპოვრებზე.

ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი წარმოადგენენ ზარაზნებით მოვაჭრეთა შეთანხმებებს. გამალებული შეიარაღება ხელსაყრელია მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების, დასავლეთ გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მონოპოლისტებისათვის. მშრომელთა სიღატაკის გაძლიერებით მონოპოლისტებს სურთ რემილიტარიზაციის გზით კიდევ უფრო დიდი მოგების მიღება. აღორძინებენ რა გერმანიის მილიტარიზმს, ისინი ცდილობენ დასავლეთ გერმანიასა და ევროპაში გზა გაუკაფონ ანტიდემოკრატიული დიქტატორული რეჟიმების დამყარებას, რომლებიც მოსპობენ თქვენს უფლებებსა და თქვენს პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

მთელი გერმანიის მშრომელო მამაკაცებო და ქალებო, პროფკავშირულო აქტივისტებო!

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით მილიონობით გერმანელს, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიაში, რომლებიც თავიანთ პროფკავშირებთან ერთად ილაშქრებენ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ. ჩვენ მოგიწოდებთ: ნება არ მისცეთ გათიშონ თქვენი რიგები. განამტკიცეთ ერთიანობა და ძმებივით იბრძოლეთ თქვენს ნიწყწყალზე მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ, დემოკრატიულ საწყისებზე გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის. არ დაუშვათ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია. თუ მილიტარიზმმა გაიმარჯვა და დაანთო ახალი ომის ხანძარი, პირველი მსხვერპლი თქვენ იქნებით. თქვენ გადაიქცევით საზარბაზნე ხორცად, ხოლო თქვენი ქვეყანა განწირული იქნება ნოსასპობად.

საფრანგეთის მშრომელო მამაკაცებო და ქალებო!

არ დაუშვათ, რომ წინააღმდეგობის მოძრაობის გმირთა მსხვერპლმა ამაოდ ჩაიაროს. ფრანგი ხალხის მამაცურმა ბრძოლამ უკვე გაჭარწყლა გერმანიის ვერმახტის აღორძინების ერთი ცდა. არ დაუშვათ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია! არ დაუშვათ, რომ თქვენს აღმოსავლეთ საზღვარზე კვლავ შეიქმნას გერმანიის დივიზიების საფრთხე, რომლებიც ამჯერად შეიარაღებული იქნებიან ატომური ზარბაზნებით!

დიდი ბრიტანეთის ბუშმენო და მუშა ქალებო!

არავის მოატყუებინოთ თავი, არ დაუშვათ, რომ უკანასკნელი ომის მონაწილეთა მიერ ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ ბრძოლებში დაღვრილი სისხლი ამაო აღმოჩნდეს. არ დაუშვათ, რომ გერმანელმა მილიტარისტებმა კვლავ კოვენტრის ბედი განუმზადონ ინგლისის ქალაქებს! დაიცავით თქვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა და მომავალი გერმანიის მილიტარიზმის საფრთხისაგან. გააძლიერეთ ბრძოლა ყველა ერის მშვიდობისა და მეგობრული თანამშრომლობისათვის!

მთელი ევროპის მშრომელო მამაკაცებო და ქალებო!

ნუ დავივიწყებთ დაღუპულებს, ბომბებით დანგრეულ ქალაქებს, წამების საკმენს, სიკვდილის ღუმელებს! არ დაუშვათ, რომ ჯალათები კვლავ შეიარაღონ, რომ მათ ხელში მისცენ ატომური იარაღი. არ დაუშვათ, რომ თქვენი სიცოცხლე და თქვენი მახლობლების სიცოცხლე, ევროპის მატერიალურ და კულტურულ ფასეულობათა ბედი აღმოჩნდეს გერმანელი მილიტარისტების ხელში, რომლებმაც ამდენი დანაშაული ჩაიდინეს კაცობრიობის წინააღმდეგ.

მშრომელებს გაერთიანებული ღონისძიებებით შეუძლიათ აღმართონ გადაულახავი დაბრკოლება ომის გამჩაღებელთა გზაზე. განამტკიცეთ ძმური სოლიდარობის კავშირი. ის ფაქტი, რომ დასავლეთ გერმანიის პროფკავშირები, რომლებიც შედიან „თავისუფალ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციაში“, და აღმოსავლეთ გერმანიის პროფკავშირები, რომლებიც ებრძოლებიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას, მტრულად ეკიდებიან გერმანიის მილიტარიზმის აღდგენას, მკაფიოდ ადასტურებს, რომ შეიძლება ამ ბრძოლაში დავამყაროთ ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის ყველაზე ფართო მოქმედების ერთიანობა.

ჩაფუშეთ ვერმახტის აღორძინების გეგმები!

მოაწყეთ საპროტესტო კრებები, მიტინგები, დემონსტრაციები. გაავრცელეთ ფურცლები და პეტიციები, გაუგზავნეთ დელეგაციები პარლამენტებსა და მთავრობებს და მოითხოვეთ უარყონ პარიზის შეთანხმებანი. მშვიდობის ბედი დამოკიდებულია თქვენზე, თქვენს ბრძოლაზე.

ყველა სახელმწიფოს, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, შეუძლია მშვიდობიანად იცხოვროს. იბრძოლეთ მშვიდობიანი თანაარსებობისათვის! მშვიდობიანი თანაარსებობა გზას გაუხსნის განიარაღებას და სამხედრო ხარჯების ტვირთის შემცირებას. იგი უზრუნველყოფს ყველა ხალხის ეკონომიურ და სოციალურ პროგრესს და კეთილდღეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

მოითხოვეთ სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა!

მოითხოვეთ თავისუფალი ეკონომიური თანამშრომლობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის! განამტკიცეთ მეგობრობა ხალხთა შორის!

ბრძოლაში გაერთიანებულნი, თქვენ უძლეველი ძალა გახდებით. დარაზმეთ თქვენი რიგები სამართლიანი ბრძოლისათვის პარიზის შეთანხმებათა და მათი შედეგების წინააღმდეგ, ევროპის უკეთესი ცხოვრებისათვის ევროპის უშიშროებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

**პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭო.**

ვარშავა, 1954 წლის 10 დეკემბერი“.

# პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს სესიაზე

ვარშავა, 10 დეკემბერი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს მე-7 სესიაზე გუშინ საღამოს და დღეს გრძელდებოდა კამათი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივნის ლუი საიანის მოხსენების გამო.

პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. კლოსევიჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თანმიმდევრულ ბრძოლას მუშათა კლასის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, მშრომელთა მოქმედების ერთიანობისათვის საკმაოდ უჭერენ მხარს პოლონეთის პროფკავშირები და პოლონეთის მუშათა კლასი. ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი, განაცხადა კლოსევიჩმა, „დასავლეთ ევროპის კავშირის“ შექმნის ნიღბით დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის ცდა მთელი პოლონელი ხალხის აღშფოთებას იწვევს. პოლონეთის მშრომელთა მასები სავსებით იწონებენ მოსკოვის თათბირის დეკლარაციას და იგი ევროპის ხალხების კოლექტიური უშიშროების და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამყარების ერთადერთ გზად მიაჩნიათ.

სიტყვა ეძლევა ლათინური ამერიკის მშრომელთა კონფედერაციის თავმჯდომარეს ლომბარდო ტოლედანოს.

მიუხედავად მეტისმეტად მძიმე პირობებისა, რომელებშიც მუშაობენ და იბრძვიან ლათინური ამერიკის პროფკავშირები, ამბობს იგი, თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობა სულ უფრო დიდ წარმატებებს აღწევს. ამას მოწმობს ბრაზილი გაფიცვა, რომლებიც ხშირად გამარჯვებით მთავრდება. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია ლათინური ამერიკის ქვეყნების მშრომელთა შორის დიდი პატივისცემით სარგებლობს, რადგან იგი იცავს ადამიანის უფლებებს, იცავს მშვიდობას.

თავისუფალი გერმანული პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ჰერბერტ ვარნკე ამბობს, რომ პროფკავშირთა მე-3 მსოფლიო კონგრესის შემდეგ მთელმა წელიწადმა განვლო მილიტარიზმის ძალების წინააღმდეგ გერმანელი მუშების მზარდი ბრძოლის ნიშნით. წელს საგაფიცვო მოძრაობამ დასავლეთ გერმანიაში ისეთ დონეს მიაღწია, როგორისთვისაც 1932 წლიდან არ მიუღწევია. 5 მილიონზე მეტი მუშა და მოსამსახურე იღებდა მონაწილეობას ხელფასის მომატებისათვის ბრძოლაში.

ამ მრისხანე დღეებში, ხაზგასმით აღნიშნავს ვარნკე, ჩვენ მთელ ჩვენს ძალებს თავს ვუყრით პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. გერმანიის მუშებს არა სურთ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა, ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის დეკლარაცია, აგრეთვე წინადადება დემოკრატიულ საფუძველზე ერთიანი მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნის შესახებ — დიდ დახმარებას გაუწევს გერმანელ ხალხს მის ბრძოლაში მილიტარიზმის წინააღმდეგ, თავისი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის.

იაპონიის დელეგატმა განაცხადა, რომ იაპონიის პროფკავშირებმა მოაწყეს მრავალი გამოსვლა იაპონელ და ამერიკელ მონოპოლისტთა მოქმედების წინააღმდეგ. იაპონელი მშრომელნი მოქმედების ერთიანობას ახორციელებენ ლოზუნგებით: „მშრომელთა და პროფკავშირებთა უფლებების დაცვა!“. „ბრძოლა ეკონომიკის მილიტარიზაციის წინააღმდეგ, მშვიდობიანი ეკონომიური პოლიტიკისათვის მშვიდობიანი წარმოების განუსაზღვრელი განვითარების მიზნით!“.

პანამის მშრომელთა ფედერაციის დელეგატმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნის მუშათა მოძრაობას თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია მტკიცე ბრძოლა მშრომელთა მოქმედების ერთიანობისათვის პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დროშით.

სესიის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივნის ბენუა ფრაშონის გამოსვლას.

ფრაშონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა განმტკიცდეს მშრომელთა მოქმედების ერთიანობა. იგი წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნას უახლოეს დროში ევროპის მუშათა კონფერენცია, რომლის მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლის ლოზუნგებით. ფრაშონმა აგრეთვე წინადადება წამოაყენა, რომ მომავალ წელს მოეწყოს მშრომელ ქალთა საერთაშორისო კონფერენცია ლოზუნგით „თანაბარი შრომის თანაბარი ანაზღაურება“.

შემდეგ სიტყვა მიეცა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის მეთაურს საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ლ. ნ. სოლოვიოვს.

ლ. ნ. სოლოვიოვის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პირველმა მდივანმა იოზეფ ტესლამ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ჟურნალ „საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის“ მთავარმა რედაქტორმა ფ. ლერიშტმა, კოსტა-რიკის პროფკავშირთა წარმომადგენელმა და სხვა დელეგატებმა.

ვარშავა, 11 დეკემბერი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს მეშვიდე სესიის გუშინდელ საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივნის ლუი საიანის მოხსენების გამო.

ურუგვაის პროფკავშირების წარმომადგენელმა ალფრედო დე მარკანდალმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნის მშრომელები შეუპოვარ ბრძოლას აჩაღებენ ამერიკის იმპერიალიზმის ძალადობის წინააღმდეგ, რომელმაც ხელში ჩაიგდო ლათინური ამერიკის მთელი რიგი ქვეყნების ეკონომიკა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ლიუ ნინ-იმ. ამერიკის აგრესიული დაჯგუფებანი და მათი მომხრენი, თქვა მან, ცდილობენ გააძლიერონ საერთაშორისო დაძაბულობა. აზიაში შეერთებულ შტატებს კვლავ ოკუპირებული აქვთ ჩვენი ძველისძველი ტერიტორია ტაივანი, შეუთანხმდნენ რა ჩინელი ხალხის მტრებს — ჩან კაი-შისა და მის ხროვას.

ამერიკის შეერთებული შტატები აღორძინებენ იაპონიის მილიტარიზმს და აწარმოებენ წყალბადის ბომბების გამოცდას წყნარ ოკეანეში. ისინი აქეზებენ ლი სინ მანის ხროვას. მათ განზრახული აქვთ ჩაშალონ შეთანხმება, რომელიც ჟენევაში დაიდო ინდოჩინეთის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხზე.

მოსკოვის ამასწინანდელმა თათბირმა, განაცხადა ლიუ ნინ-იმ, სავსებით ამხილა ამერიკის აგრესიული წრეების და მათი ინგლისელი და ფრანგი ხელშემწყობების სამხედრო გეგმები. თუ დამტკიცეს ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი, განხორციელდება დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და გაძლიერდება გერმანიისა და ევროპის გათიშვა. ეს გარდუვალად მიაყენებს დიდ ზიანს ევროპის ქვეყნებისა და, უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთის ინტერესებს.

მოსკოვის თათბირმა არა მარტო ცხადყო, რომ ქვეყნებს, რომლებიც მონაწილეობდნენ თათბირში, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იარონ მშვიდობიანი მშენებლობის გზით და შეინარჩუნონ და განავითარონ მეგობრული ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან. ამ თათბირმა ცხადყო აგრეთვე მის მონაწილეთა გადაწყვეტილება და უნარი დაიცვან თავიანთი ქვეყნების ხალხთა უშიშროება და მშვიდობიანი შრომა, უზრუნველყონ საყოველთაო უშიშროება და შექმნან ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა.

ჩინელმა ხალხმა, რომელმაც აუწერელი გაჭირვება გადაიტანა ომის დროს, ძალიან კარგად იცის, რომ თუ ევროპაში კვლავ დაიწყო ომი, მისი ალი უსათუოდ მოედება აზიასა და მთელ მსოფლიოს. ამიტომ ჩინელი ხალხი ევროპის ხალხების მხარდამხარ მტკიცედ იბრძვის დასავლეთ გერმანიის შეიარაღებისა და იაპონიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ.

ჩინეთის მუშათა კლასი და ჩინელი ხალხი, განაცხადა ლიუ ნინ-იმ ტაშის გრიალში, განაბორციელებენ კონკრეტულ მოქმედებას თავიანთი წმიდა ტერიტორიის ტაივანის განთავისუფლებისათვის. ისინი ვერ მოითმენენ ჩინეთის ტერიტორიის ოკუპაციის შეერთებული შტატების მიერ და ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩარევას.

დასასრულ ჩინეთის დელეგატმა მოუწოდა შეამჭიდროონ მშრომელთა რიგები ახალი ომის მომზადების წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ვ. როჯერსი (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი), ს. მორარუ (რუმინეთი), ფ. რუნტუტრამბი (ინდონეზია) და სხვა დელეგატები. ორატორები აცხადებდნენ, რომ იზრდება მშრომელთა გადაწყვეტილება განამტკიცონ მოქმედების ერთიანობა ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის, შრომელი მასების ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ბრძოლაში.

## ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს — გაერთიანებული სხდომა

სოფია, 12 დეკემბერი. (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა ცნობა, რომ 10 და 11 დეკემბერს გაიმართა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები და საოლქო სახალხო საბჭოების თავმჯდომარეები.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მოისმინა ანტონ იუგოვის მოხსენება მოსკოვის თათბირის მუშაობისა და მნიშვნელობის შესახებ ევროპის მშვიდობისა და კოლექტიური უშიშროებისათვის და მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც ერთსულოვნად მოიწონა თათბირის მუშაობა და ბულგარეთის მთავრობის დელეგაციის მუშაობა, აგრეთვე მოითხოვა საკსებით დაეჭიროს მხარი თათბირის დეკლარაციას.

მოსკოვის თათბირის დეკლარაცია, ნათქვამია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ვაერთიანებული სხდომის გადაწყვეტილებაში, გამოხატავს ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებს, მათს კანონიერ შეშფოთებას გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების გამო, მათს ნებას შეინარჩუნონ მშვიდობა და უზრუნველყონ უშიშროება ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო, ნათქვამია გადაწყვეტილებაში, მიიღებენ საჭირო ღონისძიებებს, რათა ფართოდ განპირობონ მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებანი, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ეს გადაწყვეტილებანი გახდეს მთელი ბულგარელი ხალხის სასიცოცხლო საქმე ხალხთა ერთობლივ ბრძოლაში მშვიდობისა და უშიშროებისათვის.

გაერთიანებულმა სხდომამ მოისმინა და განიხილა გიორგი ჩანკოვის მოხსენება სახალხო მეურნეობის განვითარების 1955 წლის გეგმის პროექტის შესახებ, რომელიც სახელმწიფო საგეგმო კომისიამ წარადგინა, და მოიწონა რა ძირითადი დებულებანი, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს პროექტი წარადგინოს ბულგარეთის სახალხო კრების დასამტკიცებლად.

## პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ, გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის

### გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დიდი ბერლინის ორგანიზაციის მიმართვა გერმანიის სოციალ-დემოკრ

# კომუნიკე ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს პრემიერსა და ბირმის პრემიერ-მინისტრს შორის მოღაპარაკების შესახებ

პეკინი, 12 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას საგენტომ გადასცა კომუნიკე ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს პრემიერსა და ბირმის პრემიერ-მინისტრს შორის მოლაპარაკების შესახებ. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოწვევით ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ კეთილი ნების ვიზიტი გაუკეთა ჩინეთს. პეკინში ყოფნის დროს პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ მეტად გულითად და მეგობრულ ვითარებაში გაუზიარა შეხედულებანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს მაო ძე-დუნს, თავმჯდომარის მოადგილეს ჯოუ დეს, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეს ლიუ შაო-ცის, სახელმწიფო საბჭოს პრემიერს ჯოუ ენ-ლაის, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც საინტერესოა ჩინეთისა და ბირმისათვის.

შეხვედრებთა ამ გაზიარების საფუძველზე პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ და პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ შემდეგ შეთანხმებას მიაღწიეს:

ორივე პრემიერმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ 1954 წლის 29 ივნისის მათი ერთობლივი დეკლარაციის შემდეგ ჩინეთისა და ბირმას შორის მეგობრული ურთიერთობა გაუმჯობესდა. ორივე პრემიერმა დაადასტურა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი უცვლელი პრინციპებია, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას. ჩინეთისა და ბირმას კვლავაც მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ, ისე რომ განამტკიცონ მეგობრული თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის.

ჩინეთისა და ბირმის ხალხებს შორის ფართო ურთიერთობის გამო ორივე პრემიერი შეთანხმდა, რომ სათანადო ქალაქებში უნდა დააარსონ გენერალური საკონსულოები, და იმედი გამოთქვეს, რომ ეს მოხდება უახლოეს მომავალში.

ხელი რომ შეუწყონ ორ ქვეყანას შორის ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპის შესაბამისად, ორივე პრემიერს საჭიროდ მიაჩნია განახორციელონ მოსამზადებელი ღონისძიებანი, რათა დაიწყოს ჩინეთ-ბირმის საპაერო მიმოსვლა, აღდგენილ იქნას ჩინეთ-ბირმის საავტომობილო მიმოსვლა და ორ ქვეყანას შორის დაიდოს საფოსტო-სატელეგრაფო შეთანხმება.

ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარების მიზნით ორივე პრემიერი შეთანხმდა, რომ 1955-დან 1957 წლის დამლეგამდე ჩინეთი ყოველწლიურად შეიტანს ბირმიდან 150-200 ათას ტონა ბრინჯს და იმავე პერიოდში ბირმა ჩინეთიდან შეიტანს ისეთ სამრეწველო მოწყობილობას, აგრეთვე ფართო მოხმარების საქონელს, რომლის მიწოდებაც ჩინეთს შეუძლია.

იმ პირობების გასაუმჯობესებლად, რომლებშიც ერთ-ერთი ქვეყნის ქვეშევრდომები მეორე ქვეყანაში ცხოვრობენ, ორივე პრემიერი შეთანხმდა, რომ თვეთეული ქვეყანა წაახალისებს თავის ქვეყნიდან წასულთ მეორე ქვეყანაში მცხოვრებს, ესე იგი ბირმელებს, რომელნიც ჩინეთში ცხოვრობენ, ან ჩინელებს, რომელნიც ბირმაში ცხოვრობენ, პატივი სცენ იმ ქვეყნის კანონებსა და საზოგადოებრივ ჩვეულებებს, სადაც ისინი ცხოვრობენ, და არ მიიღონ მონაწილეობა ამ ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობაში. თვითეული მთავრობა მზად იქნება დაიცვას უფლებები და ინტერესები მეორე ქვეყნის ქვეშევრდომებისა, რომლებიც მის ქვეყანაში ცხოვრობენ. რაც შეეხება ასეთ პირთა მოქალაქეობის საკითხს, ორივე მთავრობა უახლოესი შესაძლებლობის დროს გამართავს მოლაპარაკებას ნორმალური დიპლომატიური არხების საშუალებით.

იმის გამო, რომ ჩინეთსა და ბირმას შორის საზღვრის ხაზი მთლად არ არის გარკვეული, ორივე პრემიერმა საჭიროდ მიიჩნია ეს საკითხი მეგობრული სულისკვეთებით მოაწესრიგონ შესაფერ მომენტში ნორმალური დიპლომატიური არხების საშუალებით.

ორივე პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს ფართოდ მიიღებს აზიისა და მთელი მსოფლიოს ყველა ქვეყანა. ორივე პრემიერმა განაცხადა, რომ იმ ქვეყნებსაც კი, რომლებიც ახლა მტრულად არიან განწყობილნი ერთმანეთის მიმართ, შეუძლიათ ნორმალური მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა დაამყარონ, თუ ამას გულწრფელად და კეთილმოსურნეობით მოინდომებენ. ამავე დროს ორივე პრემიერმა განაცხადა, რომ უაღრესად არიან დაინტერესებული მშვიდობის რაიონის განმტკიცებითა და გაფართოებით. თუ მშვიდობის რაიონი განმტკიცდა და გაფართოდა, ახლანდელი საერთაშორისო უთანხმოება თანდათანობით შეწყვეტება, ამით შემცირდება ახალი ომის შესაძლებლობა და განმტკიცდება მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმე. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის უნდა განმტკიცდეს მშვიდობა ინდოჩინეთში. ორივე პრემიერს მიაჩნია, რომ ყველა ქვეყანას აქვს ეროვნული დამოუკიდებლობისა და აყვავების უფლება და იმის უფლება, რომ თავისუფალი იყოს უცხოეთის ჩარევისა და აგრესიისაგან.

# ბირმის პრემიერ-მინისტრ უ ნუს განცხადება პრეს-კონფერენციაზე

პეკინი, 12 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას საგენტოს ცნობით, გუშინ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც ბირმის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ განაცხადა, რომ „აზიაში მშვიდობის ზონის გაფართოების პერსპექტივები ძალიან კარგია, თუ ყველა დაინტერესებული ქვეყანა იმუშავებს ამისათვის და გულწრფელობასა და კეთილ ნებას გამოიჩენს“.

ჩინეთ-ბირმის ვაჭრობის შესახებ პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ განაცხადა: „მას შემდეგ, რაც ამ დიდ ქვეყანაში ჩამოვედი, მივხვდი, რომ ამ ვაჭრობის პერსპექტივები უფრო ბრწყინვალეა, იმიტომ რომ აქ გამომგზავრებამდე არ ვიცოდი, რომ თქვენი ქვეყანა ესოდენ ბევრ საჭონელს აწარმოებს, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება. რაც მოვიარე ეს ქვეყანა, განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთი ჩინეთი, დავინახე, რომ აქ არის მეტად ბევრი საქონელი, — სამომხმარებლო საქონელი, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება, აგრეთვე მასალა ინდუსტრიალიზაციის ჩვენი პროგრამის განსახორციელებლად. ამიტომ მე ვფიქრობ გამოგზავნო აქ კიდევ ერთი სავაჭრო-სამრეწველო მისია“.

უ ნუმ დასძინა: „ჩვენ გვსურს აგრეთვე საგაჭრო ურთიერთობა ვიქონიოთ ევროპის ქვეყნებთან, სსრ კავშირთან, აღმოსავლეთ გერმანიასთან, პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან და სხვა ქვეყნებთან“.

# ჩეხოსლოვაკიის ახალი მთავრობა

პრაღა, 12 დეკემბერი. (საკდესი). ახალი ეროვნული კრების არჩევასთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობამ დღეს რესპუბლიკის პრეზიდენტს გადასცა თხოვნა გადადგომის შესახებ.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა მთავრობის გადადგომა მიიღო და ახალი მთავრობის პრემიერ-მინისტრად დანიშნა ვილჰამ შირაკი. ვილიამ შიროკის წინადადებით რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაამტკიცა ახალი მთავრობა შემდეგი შემადგენლობით:

პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე — იარომირ დოლანსკი, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე და ეროვნული თავდაცვის მინისტრი — ალექსი ჩეპიჩკა, პრემიერ-მინისტრის მოადგილე — ვაცლავ კოპეცკი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე — ვაცლავ შკოდა, შინაგან საქმეთა მინისტრი — რუდოლფ ბარაკი, მინისტრი — სახელმწიფო საგეგმო სამმართველოს თავმჯდომარე — ოტაკარ შამუნეკი, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი — იოზეფ კისელი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — იოზეფ პლოიგარი, მშენებლობის მინისტრი — ემანუელ შლეხტა, საგარეო საქმეთა მინისტრი — ვაცლავ დავიდი, ფინანსთა მინისტრი იულიუს დიურიში და სხვ.

12 დეკემბერს პრაღის კრემლში მთავრობის წევრებმა ფიცი მისცეს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

# კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

ფხენიანი, 12 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კორეის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გაკეთა შემდეგი განცხადება:

1-დან 8 დეკემბრამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესიის პოლიტიკურ კომიტეტში განხილულ იქნა კორეის საკითხი. საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა მალიკმა კორეის საკითხის ობიექტური და სამართლიანი გაშუქების მიზნით შეტანა წინადადება — მოწვეულ იქნან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები კორეის საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მთელმა რიგმა დელეგაციებმა სხდომაზე ისევითვე პოზიცია დაიკავეს, როგორიც საბჭოთა დელეგაციამ.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა უფლება — მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო თათბირზე კორეის საკითხის განხილვაში — აღიარა ქენევის თათბირმა.

მიუხედავად ამისა, ამერიკის დელეგატისა და მისი მიდგომური მთელი რიგი ქვეყნების დელეგატების მაქინაციების გამო, საბჭოთა დელეგაციის წინადადება უარყოფილ იქნა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა აგრეთვე წინადადება იმის შესახებ, რომ უახლოეს მომავალში მოიწვიონ დაინტერესებული ქვეყნების თათბირი კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. ეს წინადადება ყველაზე გოგამორიცხათ პუნქტი, რომელიც მოითხოვდა ცნობად მიგვეღო „თხუთმეტის“ აშკარად ტენდენციური და არაობიექტური მოხსენება ქენევის თათბირის შესახებ, მოხსენება, რომელიც ცალმხრივად გვიხატავს თათბირის მონაწილეთა პოზიციას კორეის საკითხში.

კორეაში ინტერვენციის მონაწილე ქვეყნების დაეინებით და სსრ კავშირის, ინდოეთის წარმომადგენლებისა და მთელი რიგი სხვა დელეგატების წინააღმდეგობის მიუხედავად, კომიტეტმა გადაწყვიტა კენჭისსაყრელად პირველი დაისვას არა ინდოეთის რეზოლუცია, რომელიც შეტანილი იყო უფრო ადრე, არამედ „თხუთმეტის“ რეზოლუცია.

ამ რეზოლუციისათვის კენჭისყრისას ის პუნქტები, რომლებშიც ლაპარაკია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებზე და აღნიშნულია, რომ შეთანხმება კორეაში დაზავების შესახებ ძალაში უნდა დარჩეს სამხედრო შეთანხმების მიღწევამდე, აგრეთვე გამოთქმულია იმედი, რომ მალე აღმოჩნდება შესაძლებელი წინ წავიწიოთ მშვიდობიანი საშუალებებით კორეის გაერთიანებისაკენ, მიღებულ იქნა ერთხმად. პუნქტი, რომელიც იწონებს „თხუთმეტის“ ცალმხრივ მოხსენებას ქენევის თათბირის შესახებ, მიღებულ იქნა 46 ხმით ხუთი ხმის წინააღმდეგ (სსრ კავშირი, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია), 8 დელეგაციამ თავი შეიკავა (ინდოეთი, ინდონეზია, იუგოსლავია, ბირმა, ავღანეთი, სირია, საუდის არაბეთი და იემენი).

მთლიანად რეზოლუციამ მიიღო 50 ხმა. სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა ხმა მისცეს რეზოლუციის წინააღმდეგ, ხოლო ინდოეთის, ბირმის, საუდის არაბეთის და სირიის დელეგაციებმა თავი შეიკავეს.

„თხუთმეტის“ რეზოლუციის მიღების შემდეგ ინდოეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხსნის თავის რეზოლუციის პროექტს, რამდენადაც ყველა პუნქტი, რომელიც ერთმანეთს ემთხვევა ორივე პროექტში, უკვე ერთხმად მიღებულია.

ხმის უმრავლესობით უარყოფილ იქნა რეზოლუციის მეორე პროექტი, რომელიც სსბჭოთა დელეგაციამ შეიტანა და რომელიც ითვალისწინებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთწოდებული კორეის ვაერთიანებისა და აღდგენის კომისიის გაუქმებას.

ნიუ-იორკი, 10 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ პოლიტიკური კომიტეტი შეუდგა მაროკოს საკითხის განხილვას.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მაროკოს საკითხი გენერალური ასამბლეის მე-9 სესიის დღის წესრიგში შეიტანეს თითხმეტი სახელმწიფოს — ავღანეთის, ბირმის, ეგვიპტის, ინდოეთის, ინდონეზიის, ერაყის, იემენის, ირანის, ლიბანის, პაკისტანის, საუდის არაბეთის, სირიის, ტაილანდისა და ფილიპინების თხოვნით. იმ წერილისათვის დართულ განმარტებით ნათქვამია, რომელიც შეიცავს თხოვნას დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის შესახებ, აღნიშნულია, რომ რეპრესიებისა და ძალადობის, მასობრივი დაპატიმრებისა და გადასახლების პოლიტიკამ, რასაც საფრანგეთი ახორციელებს, სერიოზული მდგომარეობა შექმნა მაროკოში, რომელიც არსებითად გადაქცეულია საკონცენტრაციო ბანაკად და მისი მცხოვრებნი წარმოუდგენელ ტანჯვას განიცდიან. ეს მდგომარეობა, ნათქვამია განმარტებითს ნაწილში, აშკარად ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციის პრინციპებს. ეს მდგომარეობა მუდმივი საფრთხეა მშვიდობისათვის.

საერთო დისკუსია მაროკოს საკითხზე დაიწყო სირიის წარმომადგენლის შუქეირის გამოსვლით. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მაროკოზე პროტექტორატის დაწესებამდე, რაც მაროკოელებს იარაღით მოუხვიეს თავს, მაროკო სუვერენული სახელმწიფო იყო. ამჟამად, განაცხადა შუქეირიმ, მაროკოში შემოღებულია სამხედრო წესები, მაროკო დაფარულია მუდმივი საკონცენტრაციო ბანაკებით და პოლიციური ბატალიონებით, რომ ადამიანებს ფეხი ვერ ვერ დაედგა. ეს ბანაკებით და პოლიციური ბატალიონებით, — ნათქვამია ინდოეთის, ინდონეზიის, ეგვიპტის, ინდოეთის, ინდონეზიის, ერაყის, იემენის, ირანის, ლიბანის, პაკისტანის, საუდის არაბეთის, სირიის, ტაილანდისა და ფილიპინების თხოვნით. იმ წერილისათვის დართულ განმარტებით ნათქვამია, რომელიც შეიცავს „თხოვნას დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის შესახებ, აღნიშნულია, რომ რეპრესიებისა და ძალადობის, მასობრივი დაპატიმრებისა და გადასახლების პოლიტიკამ, რასაც საფრანგეთი ახორციელებს, სერიოზული მდგომარეობა შექმნა მაროკოში, რომელიც არსებითად გადაქცეულია საკონცენტრაციო ბანაკად და მისი მცხოვრებნი წარმოუდგენელ ტანჯვას განიცდიან. ეს მდგომარეობა, ნათქვამია განმარტებითს ნაწილში, აშკარად ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციის პრინციპებს. ეს მდგომარეობა მუდმივი საფრთხეა მშვიდობისათვის.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია

## პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ პოლიტიკურმა კომიტეტმა დაამთავრა კორეის საკითხის განხილვა. საერთო დისკუსიაში უკანასკნელი გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ი. ა. მალიკი. მან კონკრეტული ფაქტებით ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლები, აგრეთვე ზოგიერთი სხვა დელეგატი, რომლებიც კორეის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის საკითხზე მოლაპარაკების განახლების წინააღმდეგ გამოვიდნენ, ამახინჯებენ სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიციას ქენევის თათბირზე.

სსბჭოთა წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, ამ დელეგატების მტკიცების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირი მუდამ უჭერდა და უჭერს მხარს გაერთიანებული ერების პრინციპებს, მაგრამ იმის წინააღმდეგია, რომ დასავლეთის ზოგიერთმა სახელმწიფომ ეს პრინციპები გამოიყენოს თავისი საგარეოპოლიტიკური და სტრატეგიული მიზნებით, რომლებსაც საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ამოცანასთან საერთო არა აქვს რა.

ი. ა. მალიკმა ერთხელ კიდევ განმარტა საბჭოთა კავშირის პოზიცია კორეის მშვიდობიანი გაერთიანების საკითხში, აგრეთვე იმ საკითხში, რომ კორეის მთელ ტერიტორიაზე მოეწყოს თავისუფალი არჩევნები ეფექტიანი საერთაშორისო მეთვალყურეობით. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ არა სსრ კავშირი, არა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, არამედ კორეაში ინტერვენციის მონაწილე საბელმწიფოები არსებითად უარყოფენ თავისუფალი არჩევნების იდეას, როცა დაეინებით მოითხოვენ, რომ ეს არჩევნები მოხდეს საბჭოთა კორეის ანტიდემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე. უცხოეთის ჯარების მიერ საბჭოთა კორეის ოკუპაციის პირობებში და იმ ორგანოს კონტროლით, რომელიც თითქმის მხოლოდ და მხოლოდ იმ ქვეყნების წარმომადგენელთაგან შედგება, რომელიც მონაწილეობას იღებდნენ კორეის ომში ამერიკის შეერთებული შტატების მხარეზე.

იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისის დელეგატი, რომელიც საერთო დისკუსიაში გამოვიდა და პარალელი გაავლო კორეასა და გერმანიას შორის, შეეცადა დაემახინჯებინა საბჭოთა კავშირის პოზიცია გერმანიის საკითხშიც, მალიკმა დამაჯერებლად ცხადყო ამ ცდის უსაფუძვლობა. მან წაიკითხა სათანადო დებულებანი დეკლარაციისა, რომელიც ამ დღეებში მიღებულია მოსკოვის თათბირზე.

ჩვენ ვეყრდნობით იმას, თქვა მან, რომ თავისუფალი არჩევნები გერმანიაში უნდა მოახდინონ თვით გერმანელებმა, ხოლო კორეაში — კორეელებმა. კორეის საკითხის განხილვამ ცხადყო, რომ კორეაშიც (ისევე როგორც გერმანიაში) „თავისუფალ არჩევნებად“ დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო გულისხმობს იმის თავისუფლებას ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, რომ კორეა გადაექციონ ომის პლაცდარმად, ხოლო კორეელები — საზარბაზნე ხორცად. კორეაში, ისევე როგორც გერმანიაში, ცდილობენ სამხედრო ხელმეკრულებათა საშუალებით მუდმივი ბანადონ უცხოეთის ჯარების ყოფნა: გერმანიაში 1998 წლამდე, ხოლო კორეაში — „განუსაზღვრელი დროით“, როგორც ჩაწერილია სამხედრო ხელშეკრულებაში, რომელიც შეერთებულმა შტატებმა თავს მოახვიეს სამხრეთ კორეას. სწორედ ეს არის იმის მთავარი მიზეზი, თუ რატომ უარყოფენ დასავლეთის სახელმწიფოები წინადადებას კორეიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის შესახებ.

სსბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კორეის საკითხის მოწესრიგება შეიძლება მხოლოდ მოლაპარაკების გზით და ისე, რომ ამ მოლაპარაკებაში ფართო მონაწილეობას იღებდნენ დაინტერესებული ქვეყნები თანასწორობის საწყისებზე, რაიმე წინასწარი პირობების დაუდებლად.

შემდეგ სიტყვა მიეცა ლისინმანელთა „საგარეო საქმეთა მინისტრს“, რომელმაც უტიფარი სიტყვა წარმოთქვა. იგი ამაოლუნდა ლი სინ მანის მოწოდებას კორეაში საომარი მოქმედების განახლების შესახებ. მან მიმართა მთელ რიგ ცილისწამებლურ გამოხდომებს ინდოეთის, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი წარმომადგენლის წინააღმდეგ.

ინდოეთის წარმომადგენელმა, როცა კომიტეტის თავმჯდომარემ სიტყვა მისცა ლისინმანელისათვის პასუხის გასაცემად, განაცხადა, რომ არ აპირებს უპასუხოს „ამ ბატონს, რომელიც ჩვენ აქ 16 ქვეყანამ წარმოგვიდგინა“.

როცა კომიტეტი შეუდგა წარმოდგენილი რეზოლუციების განხილვას, სსბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსბჭოთა დელეგაცია დაეინებით არ მოითხოვს კენჭი უყარონ მის პროექტს, რომელიც შეიცავს რეკომენდაციას უახლოეს მომავალში მოწვეულ იქნას თათბირი დაინტერესებული ქვეყნების ფართო მონაწილეობით, რათა განგრძობილ იქნას მოლაპარაკება კორეის საკითხზე, არამედ მხარს დაუჭერს ინდოეთის რეზოლუციას, რომლისთვისაც სსბჭოთა დელეგაციამ შესწორება შემოიტანა. ამ შესწორებით გათვალისწინებული იყო ინდოეთის რეზოლუციის პროექტიდან ნივრულია კორეის მშვიდობიანი გაერთიანების დაჩქარებისათვის. მაგრამ ამერიკის წარმომადგენელმა და მისმა დამქაშებმა — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ მთელ რიგ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, მიუხედავად ნეიტრალურ სახელმწიფოთა ზოგიერთი დელეგატის მტკიცე ღონისძიებებისა, სსბჭოთა დელეგაციის ეს სამართლიანი წინადადებაც უარყვეს. უფრო მეტიც, მათ მიიღეს ინტერვენციის მონაწილე იმ 15 ქვეყნის რეზოლუცია, რომლებიც გამოდიან კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ კორეელი ხალხი საერთოდ ესწრაფვის გაერთიანებას.

ეს უგუნური გადაწყვეტილებანი ერთხელ კიდევ ადასტურებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უარი თქვა თავის მიზნებსა და უფლებებზე და არ გამოიყენა შესაძლებლობანი იმისათვის, რომ მშვიდობიანი გზით და გონივრულად მოაწესრიგოს კორეის საკითხი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არც ერთ გადაწყვეტილებას კორეის საკითხზე, რომლებიც მიღებულ იქნა ცალმხრივად, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა მონაწილეობის მიუღებლად, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და მოკლებულია კანონიერ ძალას. მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია ქენევის თათბირზე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადება, რომელშიც ნათქვამია, რომ კორეის საკითხი უნდა გადაწყვიტოს თვით კორეელმა ხალხმა უცხოეთის ჩაურევლად, სრულიად კორეის თავისუფალი არჩევნების საფუძველზე. კორეელი ხალხი ყველა ღონისძიებას იხმარს სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანების დაჩქარებისათვის.

# პარიზის შეთანხმებანი არ უნდა დამფკიცდეს

## საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს მიმართვა ფრანგი ხალხისადმი

პარიზი, 11 დეკემბერი. (საკდესი). საფრანგეთის მშვიდობის ეროვნულმა საბჭომ გამოაქვეყნა ფრანგი ხალხისადმი მიმართვა, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნულია საფრანგეთი, რაც მოსდევს დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას პარლამენტის მიერ.

„ამ შეთანხმებათა დამტკიცებით, — ნათქვამია მიმართვაში, — ფრანგი დეპუტატები ჩვენს ქვეყანასა და გერმანიის მეზობელ ყველა ქვეყანას შეუქმნიდნენ საფრთხეს, რომელსაც მათთვის მუდამ წარმოადგენს გერმანიის მილიტარიზმი. ამ შეთანხმებათა დამტკიცებით ფრანგი დეპუტატები მისცემდნენ ახალი გამაღებული შეიარაღების საგნალს. ისინი გააძლიერებდნენ უნდობლობას დიდ სახელმწიფოთა შორის. ისინი გააძნელებდნენ მოლაპარაკების განახლებას და ძირს გამოუთხრიდნენ პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრის შესაძლებლობას, რომელიც ევროპაში ამჟამად არსებობს“.

მიმართვაში გაბათილებულია დასავლეთის პროპაგანდის მტკიცება, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია თითქოს ჯერ კიდევ არ ნიშნავდეს მათს ძალაში შესვლას, და აღნიშნულია გაფრთხილება, რომელიც ამ მხრივ გამოთქვეს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ მოსკოვის თათბირის მონაწილეებმა.

„თვითეული დეპუტატი, — ნათქვამია დასასრულ მიმართვაში, — პასუხისმგებელი იქნება ხალხისა და ისტორიის წინაშე ხმის მიცემისათვის, რომლის დროსაც გადაწყდება დასავლეთ გერმანიის შეიარაღების საკითხი ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების 10 წლის შემდეგ. ამ დღეებში ფრანგმა ხალხმა ნათლად უნდა განუცხადოს ეს თავის წარმომადგენლებს. იგი არასოდეს არ დაეთანხმება იმას, რომ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება მომხდარი ფაქტი გახდეს“.

გაზეთ „ლუმანიტეს“ ცნობით, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორთა დიდმა ჯგუფმა საფრანგეთის მთავრობის მეთაურს მენდეს-ფრანსს გაუგზავნა კოლექტიური წერილი, რომლითაც მტკიცედ ილაშქრებს დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ რა ფორმითაც უნდა იყოს. წერილს ხელს აწერენ პროფესორები ვ. ანჯოლოვეიჩი, მ. პრენანი, ლ. ბაზენი, ჟ. კიუვალიე და სხვები.

**ფუალტუბო.** საკავშირო პროფსაბჭოს № 1 სანატორიუმში.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

# ვანო სარაჯიშვილის ხსოვნის საღამო

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა თეატრის დირექტორმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. მჭედლიძემ. მოხსენება ვ. სარაჯიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა პ. ხუციშვილ. ქართველი გამოჩენილი მომღერლისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა პოეტმა სტალინური პრემიის ლაურეატმა ი. გრიშაშვილმა.

საღამოზე წარმოდგენილ იქნა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ 1-ლი მოქმედება და „ამესალმა და ეთერის“ მე-3 მოქმედება. საკონცერტო განაფიცლებაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა დ. ანდღულაძემ, პ. ამირანაშვილმა, ა. ინაშვილმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ბ. კრავეიშვილმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა გ. გეგუჩაძემ და სხვ., აგრეთვე თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებმა. დირიჟორობდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სტალინური პრემიის ლაურეატი დ. მირცხულავა, ვ. ფალიაშვილი.

# კინონარკვევი „გამოცდილების სკოლა“

თბილისის კინოსტუდიამ „ქართულმა ფილმმა“ ამ დღეებში რესპუბლიკის ეკრანებზე გამოუშვა ახალი ფერადი კინონარკვევი „გამოცდილების სკოლა“. ფილმი მთლიანად მიეძღვნა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას (რეჟისორი — ი. კანდელაკი, ოპერატორი — გ. ასათიანი, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ა. შავერზაშვილმა).

გამოფენის ჩვენება იწყება მთავარი პავილიონით. შემდეგ ნაჩვენებია რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, ტაჯიკეთის, შორეული აღმოსავლეთის, ურალის, უზბეკეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის და სხვა რესპუბლიკების პავილიონები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის, მეცხოველეობის და სხვა პავილიონები.

ფილმის უდიდესი ნაწილი გადაღებულია საქართველოს პავილიონში. კადრები ასახავენ გამოფენის სტენდებს, რომლებზეც არის საქართველოს მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ნიმუშები და მოწინავე ადამიანთა პორტრეტები. ლამაზი კადრებია გადაღებული ციტრუსების ორანჟერიაში.

ფილმის დასასრულ ნაჩვენებია მახარაძელ და გენინჩესკელ კოლმეურნეთა შეხვედრა.

# სპორტის ამბები

## საბჭოთა ბოქსიორების გამარჯვება

საბჭოთა ბოქსიორების ნაკრებმა ბულგარეთის დამთავრების შემდეგ ბუქარეშტში ევროპის ქვეყნის კლასიკურ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი, რომელიც საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ლიბანსა და ეგვიპტეში გაეშგზავრა. სსრ კავშირის გუნდის შემადგენლობაში არიან ტერიანი, პუნკინი, ვარდანიანი, კარტოზია, კოტკასი და სხვ.

პირველი შეხვედრა საბჭოთა მოჭიდავეებმა გამართეს ლიბანის ნაკრებ გუნდთან. შეჯიბრება საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობით მიმდინარეობდა და ბათივე გამარჯვებით (8:0) დამთავრდა.

მეორე მატჩი სსრ კავშირისა და ლიბანის კლასიკურ მოჭიდავეთა გუნდებს შორის გაიმართა 10 დეკემბერს ბეირუთში. ეს შეხვედრაც საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 5:2 (ერთ წონაში შეჯიბრება არ შემდგარა).

სსრ კავშირისა და ლიბანის კლასიკურ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

## სსრ კავშირის მოჭიდრაკე ქალთა XVI ჩემპიონატი

კრასნოდარში ერთ თვეს გრძელდებოდა სსრ კავშირის მოჭიდრაკე ქ